

დამტკიცებულია

*პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებით, ოქმი
ოქმი № 01//2017 14.11.2017_წ.*

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის

წესდება

(ახალი რედაქცია)

ბათუმი

2017

შინაარსი


პრეამბულა.....	3
მუხლი 1. საზოგადოების სრული სახელწოდება. საფირმო სახელი. იურიდიული მისამართი.....	3
მუხლი 2. საზოგადოება. სამართლებრივი მდგომარეობა (იურიდიული სტატუსი). რეკვიზიტები	3
მუხლი 3. შპს „ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი“-ს დამფუძნებლები-პარტნიორები.....	3
მუხლი 4. წესდების რეგულირების საგანი	4
მუხლი 5. ბნსუ-ს საქმიანობა, უფლებამოსილებები, ვალდებულებები.....	4
მუხლი 6. ბნსუ-ს ღირებულებები, მისია, პრიორიტეტები.....	5
მუხლი 7. ბნსუ-ს სტრუქტურული ერთეულები.....	5
მუხლი 8. ბნსუ-ს მართვის პრინციპები	6
მუხლი 9. ბნსუ-ს მართვის ორგანოები (სუბიექტები).....	6
მუხლი 10. საგანმანათლებლო პროგრამები.....	9
მუხლი 11. სტუდენტის, მაგისტრანტის, პროფესიული სტუდენტის უფლებები.....	10
მუხლი 12. ბნსუ-ს ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი	13
მუხლი 13. აკადემიური პერსონალი. აკადემიური წოდებები.....	14
მუხლი 14. მოწვეული სპეციალისტები, მასწავლებლები, პროფესიული პროგრამების განმახორციელებელი პირები	14
მუხლი 15. ბნსუ-ს მატერიალურ-ტექნიკური რესურსით სარგებლობა.....	15
მუხლი 16. ბნსუ-ს ქონება, შემოსავლები და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა	15
მუხლი 17. საბუღალტრო აღრიცხვა და ანგარიშგება, კონტროლი	15
მუხლი 18. რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია.....	16
მუხლი 19. დასკვნითი დებულებები	16

პრეამბულა

შპს „ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის“ წესდების წინამდებარე რედაქცია მიღებულია შპს „ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის“ პარტნიორთა კრების მიერ (ოქმი №01, 2017 წ.).

შპს „ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი“ წარმოადგენს „ბათუმის ნავიგაციის ინსტიტუტი - საერთაშორისო საზღვაო მომზადების ცენტრისა“ და შპს „ბათუმის საზღვაო კოლეჯი - მეზღვაურთა სკოლის“ (რეგისტრირებული 20.08.1999 წ. ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ #01/04-1167) უფლებამონაცვლეს და ახალი საფირმო სახელწოდებით არსებობს აღნიშნული საზოგადოების 2009 წლის პარტნიორთა კრების (ოქმი № 6 2009 წ.) გადაწყვეტილების საფუძველზე.

მუხლი 1. საზოგადოების სრული სახელწოდება, საფირმო სახელი, იურიდიული მისამართი

- 1.1. საზოგადოების სრული სახელწოდება: შპს „ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი“
Ltd “Batumi Navigation Teaching University”
- 1.2. საზოგადოების საფირმო სახელწოდება: “ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი”
- 1.3. საზოგადოების შემოკლებული სახელწოდება: “ბნსუ” / “BNTU“
- 1.4. იურიდიული მისამართი: საქართველო, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, ხელვაჩაურის რაიონი, დაბა მახინჯაური, თამარ მეფის გამზირი № 38
- 1.5. საიდენტიფიკაციო კოდი: 245433623
- 1.6. ლოგო: 

მუხლი 2. საზოგადოება, სამართლებრივი მდგომარეობა (იურიდიული სტატუსი), რეკვიზიტები

- 2.1. შპს „ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი“ (შემდგომში - ბნსუ) წარმოადგენს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად დაფუძნებულ შეზღუდული პასუხისმგებლობის სამეწარმეო იურიდიულ პირს, დაფუძნებულია კერძო სამართლის იურიდიული პირის სამართლებრივი ფორმით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით მინიჭებული აქვს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების - სასწავლო უნივერსიტეტის - სტატუსი და მოქმედებს როგორც ავტონომიური უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს მოქმედი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების და წინამდებარე წესდების შესაბამისად;
- 2.2. ბნსუ-ს შეუძლია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად: იმოქმედოს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, ასევე მის ფარგლებს გარეთ; შექმნას წარმომადგენლობები როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ; დადოს გარიგებები, ხელშეკრულებები, მემორანდუმები, სხვ.; შეიძინოს ქონებრივი და არაქონებრივი უფლებები; იკისროს ვალდებულებები; მიიღოს ფლობაში და განკარგავს ქონება ან/და ფულადი თანხები ფლობის ან/და სარგებლობის ან/და ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე; გახსნას ანგარიშები როგორც ეროვნულ, ისე უცხოურ ვალუტაში საქართველოს ან/და სხვა ქვეყნების საბანკო დაწესებულებებში; იყოს მოსარჩელე და მოპასუხე სასამართლოში თავისი ინტერესების დასაცავად;
- 2.3. ბნსუ-ს აქვს განცალკევებული ქონება და დამოუკიდებლად ფლობს, სარგებლობს და განკარგავს საკუთარ ან/და სარგებლობის ან/და ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე მიღებულ ქონებას ან/და ფინანსურ სახსრებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- 2.4. ბნსუ-ს აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, მოქმედებს თვითანაზღაურებისა და თვითდაფინანსების პრინციპებზე;
- 2.5. ბნსუ-ში საბუღალტრო აღრიცხვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. სამეურნეო წელი არის კალენდარული წელი. წელი ბნსუ-ს რეგისტრაციიდან რეგისტრაციის წლის 31 დეკემბრამდე შეადგენს არასრულ სამეურნეო წელს;
- 2.7. ბნსუ-ს აქვს საკუთარი სიმბოლიკა, საანგარიშსწორებო ანგარიშ(ებ)ი ბანკში, მრგვალი ბეჭედი საკუთარი სრული სახელწოდებით და სარეგისტრაციო ნომრით, სხვადასხვა სახის ბლანკები, ბეჭედები, შტამპები და იურიდიული პირის სხვა ატრიბუტები;
- 2.8. შპს „ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი“ შექმნილია განუსაზღვრელი ვადით.

მუხლი 3. შპს „ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი“-ს დამფუძნებლები-პარტნიორები

- 3.1. შპს „ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის“ პარტნიორებია:
 - ლალი ხვედელიძე - დაბ. 22.10.1950. ქ. ბათუმში, მცხოვრები: ქ. ბათუმი, კ. გამსახურდიას ქ. №8-10, ბინა №4, საქართველოს მოქალაქე, პირადი №61001006833, პირადობის მოწმობა №გ1022671 გაცემული 30.10.2013 წ. სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ბათუმის სამსახურის მიერ;
 - პარმენ ხვედელიძე - დაბ. 15.06.1950. ქ. ბათუმში, მცხოვრები: ქ.ბათუმი, ფარნავაზ მეფის ქუჩა №74, ბინა №10, საქართველოს მოქალაქე, პირადი №61001006234, პირადობის მოწმობა №გ0011620 გაცემული 11.10.1995 წ. ქ. ბათუმის შ/ს სამმართველოს მიერ.
- 3.2. შპს „ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტს“ გააჩნია საწესდებო კაპიტალი 2000 (ორი ათასი) ლარის ოდენობით, ფულადი შენატანებით, რაც პარტნიორთა შორის ნაწილდება შემდგენიარად:
 - ლალი ხვედელიძე - 1600 ლარი (80%);
 - პარმენ ხვედელიძე - 400 ლარი (20%).
- 3.3. საზოგადოებას უფლება აქვს გაზარდოს ან შეამციროს საწესდებო კაპიტალი. ცვლილება საწესდებო კაპიტალში ძალაში შედის მხოლოდ სამეწარმეო რეესტრში ცვლილებების რეგისტრაციის შემდეგ. საზოგადოების საწესდებო კაპიტალის შეცვლა ხორციელდება პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებით. პარტნიორთა წილობრივი მონაწილეობის ცვლილებების რეგისტრაციას ახორციელებს თავად საწარმო, პარტნიორთა წილობრივი მონაწილეობის რეესტრის წარმოებაზე პასუხისმგებელი პირის მიერ სათანადო ჩანაწერების საფუძველზე;
- 3.4. პარტნიორს შეუძლია წილის (წილის ნაწილის) გასხვისება და დატვირთვა, ასევე მემკვიდრეობით გადაცემა;

3.5. საზოგადოების პარტნიორთა უფლება-მოვალეობები და მათი მონაწილეობა მოგება-ზარალში მათი წილის პროპორციულია.

მუხლი 4. წესდების რეგულირების საგანი

4.1. წინამდებარე წესდება არეგულირებს შპს „ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი“-ს (შემდგომში - ბნსუ), როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების (სასწავლო უნივერსიტეტის) ისეთ საკითხებს, როგორცაა ბნსუ-ს უფლებამოსილებები, მართვის პრინციპები, საქმიანობის საგანი და სხვ., წარმოადგენს ბნსუ-ს საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა შემდგომში შექმნილი მარეგულირებელი დოკუმენტის, წესის და სხვ. საფუძველს.

მუხლი 5. ბნსუ-ს საქმიანობა, უფლებამოსილებები, ვალდებულებები

5.1. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ბნსუ-ს მინიჭებული აქვს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (სახე - სასწავლო უნივერსიტეტი), მისი საქმიანობის ძირითადი სფეროა საგანმანათლებლო საქმიანობა, რომლის შედეგად ხდება საგანმანათლებლო და შრომის ბაზრებზე კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება;

5.2. ბნსუ უფლებამოსილია:

- შეიმუშავოს და დაამტკიცოს: ბნსუ-ს ახალი სიმბოლიკა, ლოგო; ბნსუ-ს მისია; განვითარების და საქმიანობის სტრატეგიული პრიორიტეტები; განვითარების და სამოქმედო გეგმები, მიზნები და ამოცანები; ბნსუ-ს საქმიანობის ძირითადი მომწესრიგებელი/მარეგულირებელი დებულება და ბნსუ-ს საქმიანობის ნებისმიერი ასპექტის სხვა მარეგულირებელი დებულებები, წესები, ინსტრუქციები, სარეკომენდაციო დოკუმენტები და სხვ.; ბნსუ-ს სტრუქტურა, სტრუქტურული ერთეულების ფუნქციების და ვალდებულებების განმსაზღვრელი დებულებები, თანამდებობრივი ინსტრუქციები, შრომის შინაგანაწესი, საშტატო ნუსხა, სამსახურში მიღების წესი, საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ხელფასის ფონდი; საგანმანათლებლო, მომზადების/გადამზადების და საწვრთნელი პროგრამები/კურსები, პროექტები, ღონისძიებები, მათი დაფინანსების ოდენობა; სხვა, რაც მიკუთვნება ბნსუ-ს უფლებამოსილებების სფეროს და საჭიროა ბნსუ-ს ინსტიტუციური მდგრადობისა და გამართული ფუნქციონირებისათვის, საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფისა და თანმიმდევრული განვითარებისათვის;
- შეიმუშავოს ბნსუ-ს წესდებაში შესატანი ცვლილებების, დამატებების და სხვ. პროექტები;
- ბნსუ-სთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში მიიღოს და გააუქმოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები;
- მიიღოს გადაწყვეტილება მის მიერ დამტკიცებულ ნებისმიერ დებულებაში/წესში/ინსტრუქციაში/სხვ. ცვლილებების შეტანის ან ამ დოკუმენტების გაუქმების შესახებ, ბნსუ-ს მიერ შექმნილი სტრუქტურული ერთეულის გაუქმების და ახალი სტრუქტურული ერთეულის შექმნის შესახებ;
- შეიმუშავოს, დაამტკიცოს, განახორციელოს, შეიტანოს ცვლილებები ან გააუქმოს უმაღლესი აკადემიური განათლების I და II საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამები საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად; საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიანიჭოს აკადემიური ხარისხები, კვალიფიკაციები და გასცეს აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტები - დიპლომები;
- შეიმუშავოს, დაამტკიცოს, განახორციელოს, შეიტანოს ცვლილებები ან გააუქმოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად; საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიანიჭოს პროფესიული კვალიფიკაციები და გასცეს აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტები - პროფესიული დიპლომები;
- საქართველოს კანონმდებლობის დადგენილი წესით შეიმუშავოს, დაამტკიცოს, განახორციელოს ერთობლივი და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამები;
- განახორციელოს კვალიფიკაციის ამაღლების, მომზადება/გადამზადების, საწვრთნელი, სასერტიფიკატო ან/და სხვა პროგრამები/კურსები და გასცეს შესაბამისი სერტიფიკატები, მოწმობები, სხვ.;
- ჩაატაროს სემინარები, კონფერენციები, მასტერ-კლასები, ტრენინგები, სხვ. როგორც ადგილობრივი, ისე უცხოელი სპეციალისტების მონაწილეობით;
- განახორციელოს საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევითი, საქველმოქმედო, საგამომცემლო, საინფორმაციო და საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა საქმიანობა;
- მოამზადოს, თარგმნოს და გამოსცეს სამეცნიერო ჟურნალი, ნაშრომთა კრებულები, სახელმძღვანელოები, სამეცნიერო და მეთოდური მასალები, ცნობარები, ლექსიკონები, ბნსუ-ს საქმიანობის ამსახველი სარეკლამო და საინფორმაციო ბუკლეტები და სხვ.;
- ჩაატაროს შესარჩევი სხვადასხვა კონკურსები, ატესტაციები და სხვ., ამ მიზნით შეიმუშავოს და დაამტკიცოს კონკურსების, ატესტაციების, შემოწმების, შეფასების და სხვ. ჩატარების წესები, პირობები, მოთხოვნები, კრიტერიუმები;
- საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ჩაატაროს აკადემიური პერსონალის შესარჩევი ღია კონკურსი, აკადემიურ თანამდებობაზე დანიშნოს კონკურსში გამარჯვებული ადგილობრივი და უცხოელი მეცნიერები, მკვლევარები და სპეციალისტები, შეიმუშავოს კონკურსის ჩატარების წესი, აკადემიური პერსონალის აფილირების წესის და შეთანხმების შინაარსი;
- მოიწვიოს/კონკურსის წესით შეარჩიოს ადგილობრივი და უცხოელი მეცნიერები, მკვლევარები და სპეციალისტები როგორც საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში მონაწილეობის, ისე კონფერენციების, მასტერ-კლასების, ტრენინგების და სემინარების ჩატარების მიზნით;
- დაამყაროს კავშირები და პარტნიორული ურთიერთობები, გააფორმოს მემორანდუმები და ხელშეკრულებები ადგილობრივ და უცხო ქვეყნების საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევით ცენტრებთან და დარგობრივ ორგანიზაციებთან საერთაშორისო საგანმანათლებლო და დარგობრივ სივრცეში ბნსუ-ს ინტეგრაციის, სამეცნიერო-კვლევითი და დარგობრივი პროექტების განხორციელების, სტუდენტთა, მაგისტრანტთა, პროფესიულ სტუდენტთა და ბნსუ-ს პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების და სხვ. მიზნით;
- საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, ბნსუ-ს მისიის, სტრატეგიის, გეგმების, მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად განკარგოს ქონება და ფინანსური სახსრები, შექმნას და დამოუკიდებლად განკარგოს სარემონტო და კაპიტალური მშენებლობის, სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა, საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით, საზღვარგარეთთან ურთი-

- ერთობების და სხვა ფონდები; განახორციელოს სხვა საქმიანობა, რაც ნებადართულია საქართველოს კანონმდებლობით.
- 5.3. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სწავლების სუბიექტების სრულფასოვანი განათლებისათვის აუცილებელი პირობების შესაქმნელად ბნსუ იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს: სპეციალისტთა ჩართულობა საჭიროებების სწორი დადგენისა და ხელშეწყობის რეგულაციური მექანიზმების შემუშავების პროცესში; სასწავლო სივრცის და ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობა; საგანმანათლებლო საჭიროებების გათვალისწინებით სწავლა-სწავლების პროცესის წარმართვა შესაბამის უმაღლეს/პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაყრდნობით შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მიხედვით; თითოეულის საჭიროებების შესაბამისი ფიზიკური გარემოს შექმნა, საგანმანათლებლო რესურსის მოძიება, სპეციალისტებთან და ოჯახის წევრებთან თანამშრომლობა; ინიციატივების მხარდაჭერა, ბნსუ-ს ღონისძიებებში ჩართულობის, ადმინისტრაციული, ფინანსური, სამედიცინო და სოციალური ხელშეწყობა;
 - 5.4. ბნსუ ვალდებულია შეიმუშაოს შინაგანაწესი, ბნსუ-ში ქცევის წესები, ეთიკის და აკადემიური ეთიკის კოდექსი, განსაზღვროს დისციპლინური დარღვევების სახეები, დისციპლინური სანქციები და დისციპლინური დარღვევის განხილვის მკაფიო და გამჭვირვალე წესები და პროცედურები, უზრუნველყოს აღებული პასუხისმგებლობების და ვალდებულებების შესრულება, უზრუნველყოს საქმიანობის ხარისხი, დაიცვას საქმიანი ურთიერთობების ეთიკა, კეთილსინდისიერება, აკადემიური თავისუფლება და მისი თანასაზოგადოების თითოეული წევრის უსაფრთხოება, მისი უფლებები და თავისუფლებები;
 - 5.5. ბნსუ-ს დამოუკიდებლობა ვრცელდება საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევით, საგამომცემლო და სამეურნეო საქმიანობაზე. ასევე, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 12-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე ბნსუ უფლებამოსილია განსაზღვროს თავისი სტრუქტურა, მართვის ორგანოების (სუბიექტების) არჩევის/დანიშვნის წესები, უფლებამოსილების გამიჯვნის საკითხი და სხვ. ბნსუ-ს უფლება აქვს დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილებები, თუ ისინი არ ეწინააღმდეგება საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და შეესაბამება წინამდებარე წესდებას.

მუხლი 6. ბნსუ-ს ღირებულებები, მისია, პრიორიტეტები

- 6.1. ბნსუ-ს ღირებულებები:
 - ჰუმანურობა, ტოლერანტობა და თანასწორობა;
 - სინდისის, არჩევანის, გადაწყვეტილების მიღების, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება;
 - გადაწყვეტილების ობიექტურობა, სამართლიანობა, გამჭვირვალობა;
 - აკადემიური თავისუფლება, აკადემიური კეთილსინდისიერება, პასუხისმგებლობა.
- 6.2. ბნსუ-ს მისია არის მისი დამფუძნებლების, სტუდენტების, მაგისტრანტების, პროფესიული სტუდენტების და პერსონალის ერთიანი ხედვა, გამოხატავს მათ პრიორიტეტებს და გაზიარებულია ბნსუ-ს მთელი თანასაზოგადოების მიერ;
- 6.3. ბნსუ-ს პრიორიტეტებია:
 - უწყვეტი განათლების პრინციპებისა და მთელი სიცოცხლის განმავლობაში განათლების მიღების მხარდაჭერა;
 - სწავლის, სწავლების და სამეცნიერო კვლევის აკადემიური თავისუფლების და აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვა;
 - საერთაშორისო და ადგილობრივ საგანმანათლებლო, სამეცნიერო და დარგობრივ სივრცეში ინტეგრირება;
 - ბნსუ-ს ინსტიტუციური მდგრადობა, თანმიმდევრული განვითარება, სოციალური პასუხისმგებლობა, ბიზნეს საქმიანობის კეთილსინდისიერება, საწოგადოების წინაშე აღებული ვალდებულებების შესრულება;
 - ხარისხის უზრუნველყოფა და მართვა, ხარისხის კულტურის ჩამოყალიბება და დამკვიდრება;
 - სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნა, განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობა, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტებისათვის ადაპტირებული გარემოს და სწავლის სათანადო პირობების შექმნა, პიროვნების ინტერესებისა და შესაძლებლობების შესატყვისი განათლების მიღების, პიროვნული პოტენციალის რეალიზების, შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარების, თვითგამოვლენის, შესაძლებლობების განვითარების, შემოქმედებითი და შემეცნებითი საქმიანობის ხელშეწყობა, კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადაზადების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება;
 - ბნსუ-სთვის პრიორიტეტულ სფეროებში თანამედროვე საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განხორციელება, ხარისხიანი განათლების მიღების უზრუნველყოფა, შიდა და საერთაშორისო საგანმანათლებლო და შრომით ბაზარზე კონკურენტუნარიანი, წარმატებული საზოგადოებრივი და პროფესიული საქმიანობისთვის აუცილებელი და თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციების მქონე სპეციალისტების ახალი თაობის მომზადება.

მუხლი 7. ბნსუ-ს სტრუქტურული ერთეულები

- 7.1. ბნსუ-ს ძირითადი საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეულები:
 - უმაღლესი განათლების სფეროში ძირითადი საგანმანათლებლო, სასწავლო-სამეცნიერო და ადმინისტრაციული სტრუქტურული ერთეულია ფაკულტეტი, რომელიც თავისი კომპეტენციის სფეროს შესაბამისად უზრუნველყოფს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებას, ცვლილებების შეტანას, პროგრამების განხორციელებასა და სასწავლო პროცესის მიმდინარეობას, სტუდენტთა მომზადებას ერთ ან რამდენიმე სპეციალობაში/სპეციალიზაციაში (მაგისტრატურის საფეხური) და მათთვის შესაბამისი აკადემიური ხარისხების და კვალიფიკაციების მინიჭებას, ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს;
 - პროფესიული განათლების სფეროში ძირითადი საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული სტრუქტურული ერთეულია პროფესიული განათლების დეპარტამენტი, რომელიც თავისი კომპეტენციის სფეროს შესაბამისად უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებას, ცვლილებების შეტანას, პროგრამების განხორციელებასა და სასწავლო პროცესის მიმდინარეობას, პროფესიულ სტუდენტთა მომზადებას ერთ ან რამდენიმე პროფესიულ სპეციალიზაციაში და მათთვის შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაციების მინიჭებას, ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს;

- 7.2. სავალდებულო სტრუქტურული ერთეულებია ბნსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და ბიბლიოთეკა. სხვა სტრუქტურული ერთეულები იქმნება ბნსუ-ს გამართული მუშაობის, დასახული ამოცანების შესრულების, ბნსუ-ს პერსონალის, სტუდენტების, მაგისტრანტების, პროფესიული სტუდენტების სიცოცხლის და უსაფრთხოების დაცვის მიზნით;
- 7.4. სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის წესი, ფუნქციები და სხვ. განისაზღვრება შესაბამისი დებულებებით;
- 7.5. სტრუქტურულ ერთეულებში დასაქმებულ პირთა საქმიანობის წესი, უფლებები, ფუნქციები და სხვ. განისაზღვრება შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის დებულებით და/ან თანამდებობრივი ინსტრუქციით (არსებობის შემთხვევაში);
- 7.6. ბნსუ-ს შემადგენლობაში იქმნება სტუდენტთა, მაგისტრანტთა და პროფესიულ სტუდენტთა გაერთიანება - ბნსუ-ს სტუდენტთა/ პროფესიულ სტუდენტთა თვითმმართველობა (შემდგომში - სტუდენტთა თვითმმართველობა), რომელიც უზრუნველყოფს მათ მონაწილეობას ბნსუ-ს მართვის და გადაწყვეტილების მიღების პროცესში, მათი უფლებების, თავისუფლებების და კანონიერი ინტერესების დაცვას, შეიმუშავებს წინადადებებს ბნსუ-ში სწავლების და განათლების ხარისხის გასაუმჯობესებლად და სხვ. თვითმმართველობის მართვის პრინციპებს, უფლებამოსილებებს და სხვ. აღწერს სტუდენტთა/ პროფესიულ სტუდენტთა თვითმმართველობის დებულება.

მუხლი 8. ბნსუ-ს მართვის პრინციპები

- 8.1. ბნსუ-ს მართვა და გადაწყვეტილებების მიღება ხორციელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და წინამდებარე წესდებით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში, რამაც უნდა უზრუნველყოს:
 - სამართლიანობა, თანასწორობა, სიტყვისა და გამომხატვის თავისუფლება, თავისუფლება გადაწყვეტილების მიღებისას;
 - გადაწყვეტილებების, არჩევნების და კონკურსების სამართლიანობა, გამჭვირვალობა, საჯაროობა;
 - პერსონალის, მაგისტრანტთა, სტუდენტთა, პროფესიულ სტუდენტთა მონაწილეობა მართვის და გადაწყვეტილების მიღების პროცესში;
 - კანონმორჩილება, ინსტიტუციური ავტონომია და აკადემიური თავისუფლება;
 - თანასწორი მოპყრობა და ნებისმიერი ნიშნით დისკრიმინაციის დაუშვებლობა;
 - საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ყველა დაინტერესებული პირისათვის.

მუხლი 9. ბნსუ-ს მართვის ორგანოები (სუბიექტები)

- 9.1. ბნსუ-ს მართვის ორგანოები (სუბიექტები):
 - პარტნიორთა კრება;
 - რექტორი;
 - ადმინისტრაციის ხელმძღვანელი-კანცლერი;
 - ბნსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
 - აკადემიური საბჭო;
 - წარმომადგენლობითი საბჭო;
 - პროფესიული განათლების დეპარტამენტის საბჭო;
 - ფაკულტეტის საბჭო;
- 9.2. ბნსუ-ს მართვის ორგანოების (სუბიექტების) და სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის წესი, უფლებები და ფუნქციები განისაზღვრება შესაბამისი დებულებებით.
- 9.3. ბნსუ-ს რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის უფლებამოსილებანი უთანაბრდება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 9.1 მუხლით გათვალისწინებულ პირთა უფლებამოსილებებს.
- 9.4. ბნსუ-ში მოქმედი ანგარიშვალდებულების სისტემა:
 - აკადემიური საბჭო - ანგარიშვალდებულა პარტნიორთა კრების წინაშე;
 - წარმომადგენლობითი საბჭო - პარტნიორთა კრების წინაშე;
 - ფაკულტეტის საბჭო - პარტნიორთა კრების, წარმომადგენლობითი და აკადემიური საბჭოების წინაშე;
 - პროფესიული განათლების დეპარტამენტის საბჭო - პარტნიორთა კრების, აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოების წინაშე;
 - რექტორი - პარტნიორთა კრების წინაშე;
 - ადმინისტრაციის ხელმძღვანელი-კანცლერი - პარტნიორთა კრების წინაშე;
 - ბნსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი - პარტნიორთა კრების, აკადემიური საბჭოს და რექტორის წინაშე;
 - პროფესიული განათლების დეპარტამენტის ხელმძღვანელი - პარტნიორთა კრების, რექტორის, წარმომადგენლობითი და პროფესიული განათლების დეპარტამენტის საბჭოების წინაშე;
 - სხვა სტრუქტურული ერთეულების, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის ანგარიშვალდებულებების საკითხები რეგულირდება შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების დებულებებით და/ან თანამდებობრივი ინსტრუქციებით (არსებობის შემთხვევაში).
- 9.5. ბნსუ-ს პარტნიორთა კრება - არის ბნსუ-ს მართვის უმაღლესი ორგანო. კრება ტარდება წელიწადში ერთხელ და იღებს გადაწყვეტილებას წლიური შედეგებისა და დღის წესრიგის სხვა საკითხებთან დაკავშირებით. კრების მოწვევა და გადაწყვეტილების მიღება ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში ტარდება რიგგარეშე კრება. კრების მოწვევა არ არის აუცილებელი, როცა ყველა პარტნიორი წერილობით დაეთანხმება განსახილველ საკითხს. წერილობითი თანხმობა კრების ოქმის ტოლფასია და ითვლება კრების გადაწყვეტილებად. პარტნიორთა კრება უფლებამოსილია, თუ მას ესწრება ხმათა 2/3, პარტნიორთა კრებაზე გადაწყვეტილება მიიღება, თუ მხარს უჭერს დამსწრე ხმათა 2/3, გარდა კანონით განსაზღვრული შემთხვევებისა. პარტნიორთა კრების კომპეტენციას მიეკუთვნება:
 - წარმოების სახეებისა და სამეურნეო საქმიანობის დაწყება და მათი შეწყვეტა;
 - საწარმოს სარეგისტრაციო განცხადების მონაცემებსა და წესდებაში ცვლილებების მიღება;

- წარმომადგენლობების/ფილიალების შექმნა და ლიკვიდაცია;
- გადაწყვეტილების მიღება ინვესტიციების შესახებ, რომელთა ღირებულება ცალკე ან მთლიანად ერთ სამეურნეო წელიწადში აღემატება საზოგადოების აქტივების ღირებულების 50%-ს;
- ვალდებულებათა აღება, რომლებიც ცალკე ან მთლიანად აღემატება საზოგადოების აქტივების ღირებულების 50%-ს;
- ვალდებულებათა უზრუნველყოფა, რომლებიც არ მიეკუთვნებიან ჩვეულებრივ საწარმოო საქმიანობას და რომელთა ღირებულება აღემატება საზოგადოების აქტივების ღირებულების 50%-ს;
- პროკურის გაცემა და გაუქმება;
- წლიური შედეგების დამტკიცება;
- აუდიტორის არჩევა;
- სამეთვალყურეო საბჭოს შექმნის შესახებ გადაწყვეტილების მიღება;
- საწარმოს რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია;
- ხელმძღვანელ პირთათვის მოგებასა და საერთო შემოსავალში მონაწილეობის და პენსიის მიცემის პრინციპის განსაზღვრა;
- შენატანების მოთხოვნა, დამატებითი შენატანების უკან დაბრუნება;
- ახალი/დამატებითი შენატანების გზით საწარმოს კაპიტალის გაზრდის შესახებ გადაწყვეტილების მიღება;
- წილთა შექმნა და გასხვისება, ასევე საწარმოთა შექმნა, გასხვისება და ლიკვიდაცია;
- უმრავი ქონების შექმნა, გასხვისება და დატვირთვა;
- იმ დამატებითი უფლებების გამოყენება, რომლებიც საზოგადოებას დაფუძნებიდან ან საზოგადოების მართვიდან გამომდინარე ბნსუ-ს აქვს დაფუძნებიდან ან მართვიდან გამომდინარე რექტორის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ან პარტნიორის მიმართ;
- ბნსუ-ს რექტორის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის-კანცლერის, პროფესიული განათლების დეპარტამენტის ხელმძღვანელის თანამდებობაზე დანიშნვის/თანამდებობიდან გათავისუფლების საკითხის გადაწყვეტა, მათი ანგარიშების განხილვა და დამტკიცება;
- პარტნიორი ან სხვა დაწესებულებების/ორგანიზაციების, ბნსუ-ს რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის-კანცლერის წინადადებების განხილვა, რომლებიც იწვევენ ბნსუ-ს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს ან უკვე არსებული ვალდებულებების გაზრდას;
- რექტორის და/ან ადმინისტრაციის ხელმძღვანელის-კანცლერის წარდგინების საფუძველზე გადაწყვეტილების მიღება ბნსუ-ს წესდებაში ცვლილებების, ბიუჯეტის დამტკიცებისა და შესატანი ცვლილებების და/ან დამატებების შესახებ;

მართვის ორგანოს (აკადემიური საბჭოს, წარმომადგენლობითი საბჭოს, პროფესიული განათლების დეპარტამენტის საბჭოს) მიერ ერთსა და იმავე სკოტზე ზედით 02-ჯერ გადაწყვეტილების ვერ მიღების შემთხვევაში (თუ ეს საფრთხეს უქმნის ბნსუ-ში სასწავლო პროცესის შეუფერხებელ განხორციელებას და ბნსუ-ს გამართულ მუშაობას) პარტნიორთა კრება უფლებამოსილია თავად განიხილოს საკითხი და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება. პარტნიორთა კრება უფლებამოსილია განიხილოს შედეგად მოტივირებული გადაწყვეტილებით შეაჩეროს, შეცვალოს ან გააუქმოს აკადემიური, წარმომადგენლობითი და პროფესიული განათლების დეპარტამენტის საბჭოების, ბნსუ-ს რექტორის და ადმინისტრაციის ხელმძღვანელი-კანცლერის კონკრეტული გადაწყვეტილებები.

9.6. რექტორი - წინამდებარე წესდების საფუძველზე კონკურსის გამოცხადების გარეშე/კონკურსის საფუძველზე რექტორის თანამდებობაზე დანიშნვის და თანამდებობიდან გათავისუფლების საკითხს წყვეტს პარტნიორთა კრება. რექტორად შეიძლება დანიშნული იყოს როგორც ერთ-ერთი პარტნიორი, ასევე სხვა პირი, რომელსაც უნდა ჰქონდეს უმაღლესი განათლება, სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 05 წლის გამოცდილება, დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხი. რექტორი: არის უმაღლესი აკადემიური თანამდებობის პირი, აკადემიური (სამეცნიერო) საბჭოს თავმჯდომარე; წარმოადგენს ბნსუ-ს ქვეყნის შიგნით და გარეთ აკადემიურ და სამეცნიერო სფეროებში; გამოსცემს ბრძანებებს სტუდენტის სტატუსის მინიჭების, შეჩერების, აღდგენის, შეწყვეტის, მინიჭებული აკადემიური ხარისხის (კვალიფიკაციის) დამადასტურებელი დოკუმენტის (დიაპლომის) გაცემის, ბნსუ-ში კონკურსების გამოცხადების, ატესტაციების ჩატარების შესახებ და სხვ.; ბნსუ-ს სახელით ხელს აწერს აფილირების შეთანხმებებს, სტუდენტებთან და მაგისტრანტებთან ხელშეკრულებებს, აკადემიურ პერსონალთან და ბნსუ-ს მიერ განსაზღვრულ სხვა პირებთან შრომით ხელშეკრულებებს; უფლებამოსილია ბნსუ-ს სახელით აკადემიურ და სამეცნიერო სფეროებში დადოს გარიგებები და შეთანხმებები, ხოლო თუ გარიგების და შეთანხმების დადება დაკავშირებულია ფინანსურ და ეკონომიკურ საკითხებთან, მათ ხელს აწერს აგრეთვე ბნსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი-კანცლერი; უფლებამოსილია შეაჩეროს სხვა თანამდებობის პირთა გადაწყვეტილებები, გარდა ადმინისტრაციის ხელმძღვანელი-კანცლერისა; ვალდებულია იხელმძღვანელოს საქართველოს კანონმდებლობით, უმაღლესი განათლების სფეროში მოქმედი ეროვნული კანონმდებლობით, საერთაშორისო კონვენციებით და სტანდარტებით (მათ შორის, ISO 9001:2015 ხარისხის საერთაშორისო სტანდარტით), წინამდებარე წესდებით და ბნსუ-ს საქმიანობის მომწესრიგებელი დებულებით, პარტნიორთა კრების და აკადემიური საბჭოს დადგენილებებით, თანამდებობრივი ინსტრუქციით, აკადემიური საბჭოს დებულებით და ბნსუ-ში მოქმედი სხვა მარეგულირებელი დებულებებით/წესებით, რომელიც განსაზღვრავენ/აზუსტებენ მის უფლებამოსილებებს, ვალდებულებებს და პასუხისმგებლობებს;

9.7. ადმინისტრაციის ხელმძღვანელი-კანცლერი - წინამდებარე წესდების საფუძველზე კონკურსის გამოცხადების გარეშე/კონკურსის საფუძველზე ადმინისტრაციის ხელმძღვანელის-კანცლერის თანამდებობაზე დანიშნვის და თანამდებობიდან გათავისუფლების საკითხს წყვეტს პარტნიორთა კრება. ადმინისტრაციის ხელმძღვანელი-კანცლერად შეიძლება დანიშნული იყოს როგორც ერთ-ერთი პარტნიორი, ასევე სხვა პირი, რომელსაც უნდა ჰქონდეს უმაღლესი განათლება და ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობის არანაკლებ 03 წლის გამოცდილება. ადმინისტრაციის ხელმძღვანელი-კანცლერი: არის ბნსუ-ს უმაღლესი ადმინისტრაციული მმართველი ფინანსური, მატერიალური და ადამიანური რესურსების სფეროებში და წარმომადგენლობითი საბჭოს თავმჯდომარე; წარმოადგენს ბნსუ-ს საფინანსო-ეკონომიკურ და შრომით ურთიერთობებში; უფლებამოსილია ბნსუ-ს სახელით საკუთარი კომპეტენციების სფეროებში დადოს გარიგებები და შეთანხმებები; თავისი კომპეტენციის ფარგლებში

ხელმძღვანელობს ბნსუ-ს საგარეო კავშირებს, საგანმანათლებლო დაწესებულებებთან კონტაქტებს და საერთაშორისო პროექტებს; კონტროლს უწევს ბნსუ-ს ფინანსების ხარჯვას; პასუხისმგებელია ფინანსური და ეკონომიკური საქმიანობის კანონიერებასა და ეფექტიანობაზე; რექტორის დროებითი არყოფნის პერიოდში ასრულებს მის მოვალეობას; ბნსუ-ს სახელით ხელს აწერს ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალთან და ბნსუ-ს მიერ განსაზღვრულ სხვა პირებთან შრომით ხელშეკრულებებს; უფლებამოსილია შეაჩეროს სხვა თანამდებობის პირთა გადაწყვეტილებები, გარდა რექტორისა; ვალდებულია იხელმძღვანელოს საქართველოს კანონმდებლობით, საერთაშორისო კონვენციებით და სტანდარტებით (მათ შორის, ISO 9001:2015 ხარისხის საერთაშორისო სტანდარტით), წინამდებარე წესდებით და ბნსუ-ს საქმიანობის მომწესრიგებელი დებულებით, პარტნიორთა კრების და წარმომადგენლობითი საბჭოს დადგენილებებით, თანამდებობრივი ინსტრუქციით, წარმომადგენლობითი საბჭოს დებულებით და ბნსუ-ში მოქმედი სხვა მარეგულირებელი დებულებებით/წესებით, რომელიც განსაზღვრავენ/აზუსტებენ მის უფლებამოსილებებს, ვალდებულებებს, პასუხისმგებლობებს;

- 9.8. ბნსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური (შემდგენი - სამსახური) იქმნება ბნსუ-ში ხარისხის უზრუნველყოფის საუნივერსიტეტო პოლიტიკის, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებისა და პროცედურების დანერგვის, ხარისხის სისტემატური შეფასების და სრულყოფის მიზნით. სამსახურის ხელმძღვანელი თანამდებობაზე ინიშნება და თავისუფლდება რექტორის ბრძანებით. სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობაზე კონკურსის გამოცხადების გარეშე/კონკურსის საფუძველზე შეიძლება დაინიშნოს პირი, რომელსაც უნდა ჰქონდეს დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხი ან/და ანალოგიურ სამსახურში ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობის არანაკლებ 03 წლის გამოცდილება. სამსახურის ხელმძღვანელი მისთვის დადგენილ ფარგლებში: უზრუნველყოფს ბნსუ-ში განათლების ხარისხის სისტემის დანერგვას, ამოქმედების და სრულყოფის ორგანიზებას; საქართველოში მოქმედ და საერთაშორისო სტანდარტებთან ბნსუ-ს საგანმანათლებლო საქმიანობის და განათლების ხარისხის შესაბამისობას; წარმოადგენს ბნსუ-ს გარე ორგანიზაციებში, მათ შორის ხარისხის მენეჯმენტის საკითხებთან დაკავშირებით; თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, განათლების სფეროში მოქმედი მოქმედი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებით, საერთაშორისო კონვენციებით და სტანდარტებით, მათ შორის ხარისხის საერთაშორისო სტანდარტის ISO 9001:2015 მოთხოვნებით; ასორციელებს საქმიანობას წინამდებარე წესდებით და ბნსუ-ს საქმიანობის მომწესრიგებელი დებულებით, პარტნიორთა კრების, წარმომადგენლობითი და აკადემიური საბჭოს მიერ მიღებული დადგენილებებით, თანამდებობრივი ინსტრუქციით (არსებობის შემთხვევაში), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულებით და ბნსუ-ში მოქმედი სხვა მარეგულირებელი დებულებებით/წესებით, რომელიც განსაზღვრავენ/აზუსტებენ მის უფლებამოსილებებს, ვალდებულებებს და პასუხისმგებლობას; ექვემდებარება რექტორს;
- 9.9. აკადემიური საბჭო - არის ბნსუ-ს უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო წარმომადგენლობითი და რექტორის სათაბირო ორგანო. აკადემიური საბჭო: იქმნება ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში ბნსუ-ს ინტეგრაციის, საქართველოს და უცხოეთის საგანმანათლებლო, სამეცნიერო, კვლევით და სხვა დაწესებულებებთან თანამშრომლობის, თანამედროვე მოთხოვნების და სტანდარტების შესაბამისად საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის წარმართვის მიზნით; ამტკიცებს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მარეგულირებელი დებულებას, საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ძირითად და პრიორიტეტულ მიმართულებებს, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გეგმას და შემაჯამებელ ანგარიშს, ახალ და მოდიფიცირებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებს; შეიმუშავებს რეკომენდაციებს ახალი საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შეიმუშავების, მოქმედ პროგრამებში ცვლილებების შეტანის ან მოქმედი პროგრამ(ებ)ის გაუქმების შესახებ; ამტკიცებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს; ატარებს სამეცნიერო ნაშრომების/პროექტების/სხვ. კონკურსებს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს ბნსუ-ს მიერ სამეცნიერო ნაშრომების/პროექტების/სხვ. დაფინანსების შესახებ; ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით, განათლების სფეროში არსებული ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტებით; ასრულებს წინამდებარე წესდებით, აკადემიური საბჭოს და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მარეგულირებელი დებულებებით განსაზღვრულ უფლებამოსილებებს და ბნსუ-ში მოქმედი სხვა მარეგულირებელი დებულებებით/წესებით, რომელიც განსაზღვრავენ/აზუსტებენ მის შემადგენლობას, უფლებამოსილებებს, ვალდებულებებს და პასუხისმგებლობას;
- 9.10. წარმომადგენლობითი საბჭო - არის ბნსუ-ს მართვის ერთერთი ძირითადი (მთავარი) წარმომადგენლობითი ორგანო, რომლის შემადგენლობაში აუცილებლად შედიან ბნსუ-ს სტუდენტთა თვითმმართველობის მიერ არჩეული წევრები (საბჭოს შემადგენლობის მინიმუმ 1/4). წარმომადგენლობითი საბჭო არის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის-კანცლერის სათათბირო ორგანო. წარმომადგენლობითი საბჭო ამტკიცებს ბნსუ-ს საქმიანობის ძირითად მომწესრიგებელ დებულებას (შინაგანაწესს) და მასში შესატან ცვლილებებს, ყველა მარეგულირებელ დებულებას (გარდა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მარეგულირებელი დებულებისა), ბნსუ-ს სტრუქტურას და სტრუქტურაში ცვლილებებს, ყველა სტრუქტურული ერთეულის დებულებას, თანამდებობრივ ინსტრუქციას, ბნსუ-ს ბიუჯეტის პროექტს/ბიუჯეტს, ბნსუ-ს მდგრად განვითარებაზე და არსებული მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, პერსონალის, სტუდენტთა, მაგისტრანტთა და პროფესიულ სტუდენტთა ხელშეწყობაზე მიმართულ ღონისძიებებს/ აქტივობებს, ბნსუ-ში კონკურსის და ატესტაციების ჩატარების პირობებს და სხვ.; ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით, განათლების სფეროში არსებული ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტებით; ასრულებს წინამდებარე წესდებით, წარმომადგენლობითი საბჭოს დებულებით განსაზღვრულ უფლებამოსილებებს და ბნსუ-ში მოქმედი სხვა მარეგულირებელი დებულებებით/წესებით, რომელიც განსაზღვრავენ/აზუსტებენ მის შემადგენლობას, უფლებამოსილებებს, ვალდებულებებს და პასუხისმგებლობას;
- 9.11. ფაკულტეტის საბჭო - არის ფაკულტეტის (უმაღლესი განათლების სფეროში ძირითადი საგანმანათლებლო, სასწავლო-სამეცნიერო, ადმინისტრაციული სტრუქტურული ერთეულის) წარმომადგენლობითი და ფაკულტეტის დეკანის სათათბირო ორგანო, რომლის შემადგენლობაში აუცილებლად შედის ფაკულტეტის სტუდენტებიდან არჩეული მინიმუმ ერთი წარმომადგენელი. ფაკულტეტის საბჭოს კომპეტენციის სფეროს მიეკუთვნება საგანმანათლებლო, სამეცნიერო, მეთოდური და ორგანიზაციული საკითხები. ფაკულტეტის საბჭო: ანიჭებს აკადემიურ ხარისხებს, კვალიფიკაციებს; განიხილავს სტუდენტის და მაგისტრანტის სტატუსთან, საგანმანათლებლო პროგრამების სათანადო ადამიანური და მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით უზ-

რუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხებს, სამეცნიერო-კვლევით პროექტებს, პროგრამებს, გეგმებს; ქმნის სხვადასხვა კომისიებს და სხვ. ხელმძღვანელობს საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით, უმაღლესი განათლების სფეროში ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტებით; ასრულებს წინამდებარე წესდებით, ფაკულტეტის დებულებებით განსაზღვრულ უფლებამოსილებებს და ბნსუ-ში მოქმედი სხვა მარეგულირებელი დებულებებით/ წესებით, რომელიც განსაზღვრავენ/აზუსტებენ მის შემადგენლობას, უფლებამოსილებებს, ვალდებულებებს, პასუხისმგებლობებს. ფაკულტეტს ხელმძღვანელობს დეკანი, რომელიც არის ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე და უძღვება საბჭოს სხდომებს. ფაკულტეტის დეკანი თანამდებობაზე ინიშნება და თანამდებობიდან თავისუფლდება რექტორის ბრძანებით, დეკანის თანამდებობაზე კონკურსის გამოცხადების გარეშე/კონკურსის საფუძველზე შეიძლება დაინიშნოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირი (ბნსუ-ს პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი), რომელსაც უნდა ჰქონდეს დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხი. დეკანი წარმოადგენს ფაკულტეტს მის კომპეტენციაში შემავალი საკითხების გადაწყვეტისას და თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ აქტებს. მოქმედებს ფაკულტეტის სახელით, პასუხისმგებელია ფაკულტეტის საქმიანობაზე, უზრუნველყოფს ფაკულტეტზე ბნსუ-ს მისიის, საგანმანათლებლო პრიორიტეტების, მიზნების, ამოცანების, სამოქმედო გეგმების, უმაღლესი განათლების და ხარისხის სფეროში მოქმედი მოთხოვნების შესრულებას და სხვ. ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით, უმაღლესი განათლების სფეროში არსებული ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტებით; ასრულებს წინამდებარე წესდებით, ფაკულტეტის დებულებით განსაზღვრულ უფლებამოსილებებს და ბნსუ-ში მოქმედი სხვა მარეგულირებელი დებულებებით/ წესებით, რომელიც განსაზღვრავენ/აზუსტებენ მის უფლებამოსილებებს, ვალდებულებებს და პასუხისმგებლობას.

- 9.12. პროფესიული განათლების დეპარტამენტის საბჭო - არის ბნსუ-ს პროფესიული განათლების დეპარტამენტის (პროფესიული განათლების სფეროში ძირითადი საგანმანათლებლო, სასწავლო და ადმინისტრაციული სტრუქტურული ერთეულის) წარმომადგენლობითი და პროფესიული განათლების დეპარტამენტის (შემდგომში - დეპარტამენტი) ხელმძღვანელის სათათბირო ორგანო, რომლის შემადგენლობაში აუცილებლად შედის დეპარტამენტის პროფესიული სტუდენტებიდან არჩეული მინიმუმ ერთი წარმომადგენელი. დეპარტამენტის საბჭოს კომპეტენციის სფეროს მიეკუთვნება საგანმანათლებლო, მეთოდური და ორგანიზაციული საკითხები. დეპარტამენტის საბჭო: შეიმუშავებს და წარუდგენს ბნსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს და დადებითი შეფასების შემდეგ გადასცემს ბნსუ-ს აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად. ანიჭებს პროფესიულ კვალიფიკაციებს; განიხილავს პროფესიული სტუდენტის სტატუსთან, საგანმანათლებლო პროგრამების სათანადო ადამიანური და მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით უზრუნველყოფის საკითხებს, დეპარტამენტის სხვადასხვა პროექტებს, პროგრამებს, გეგმებს; ქმნის სხვადასხვა კომისიებს და სხვ. ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით, პროფესიული განათლების სფეროში არსებული ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტებით; ასრულებს წინამდებარე წესდებით, დეპარტამენტის დებულებით განსაზღვრულ უფლებამოსილებებს და ბნსუ-ში მოქმედი სხვა მარეგულირებელი დებულებებით/წესებით, რომელიც განსაზღვრავენ/აზუსტებენ მის შემადგენლობას, უფლებამოსილებებს, ვალდებულებებს და პასუხისმგებლობას. დეპარტამენტს ხელმძღვანელობს დეპარტამენტის ხელმძღვანელი, რომელიც არის დეპარტამენტის საბჭოს თავმჯდომარე და უძღვება დეპარტამენტის საბჭოს სხდომებს. წინამდებარე წესდების საფუძველზე კონკურსის გამოცხადების გარეშე/კონკურსის საფუძველზე ბნსუ-ს პროფესიული განათლების დეპარტამენტის ხელმძღვანელის თანამდებობაზე დანიშნვის და თანამდებობიდან გათავისუფლების საკითხს წყვეტს ბნსუ-ს პარტნიორთა კრება. პროფესიული განათლების დეპარტამენტის ხელმძღვანელად შეიძლება დანიშნული იყოს როგორც ერთ-ერთი პარტნიორი, ასევე სხვა პირი, რომელსაც უნდა ჰქონდეს უმაღლესი განათლება და საგანმანათლებლო დაწესებულებაში ადმინისტრაციულ თანამდებობაზე მუშაობის არანაკლებ 3-წლიანი გამოცდილება. დეპარტამენტის ხელმძღვანელი წარმოადგენს პროფესიული განათლების დეპარტამენტს მის კომპეტენციაში შემავალი საკითხების გადაწყვეტისას, არის პროფესიული განათლების დეპარტამენტის საბჭოს თავმჯდომარე. დეპარტამენტის ხელმძღვანელი გამოსცემს პროფესიული სტუდენტის სტატუსთან დაკავშირებულ ბრძანებებს, თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, პროფესიული განათლების სფეროში მოქმედი მოქმედი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებით, საერთაშორისო კონვენციებით და სტანდარტებით, მათ შორის ხარისხის საერთაშორისო სტანდარტის ISO 9001:2015 მოთხოვნებით, წინამდებარე წესდებით, ბნსუ-ს საქმიანობის მომწესრიგებელი/მარეგულირებელი დებულებებით/წესებით, პარტნიორთა კრების, წარმომადგენლობითი და პროფესიული განათლების დეპარტამენტის საბჭოების მიერ მიღებული დადგენილებებით, თანამდებობრივი ინსტრუქციით, პროფესიული განათლების დეპარტამენტის დებულებით და ბნსუ-ში მოქმედი სხვა მარეგულირებელი დებულებებით/წესებით, რომელიც განსაზღვრავენ/აზუსტებენ მის უფლებამოსილებებს, ვალდებულებებს და პასუხისმგებლობას.

მუხლი 10. საგანმანათლებლო პროგრამები

- 10.1. ბაკალავრიატი - აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს შესაბამისი სპეციალობის საფუძველების სწავლებას, რაც აუცილებელია პირის მიღებული კვალიფიკაციით მუშაობისათვის და მაგისტრატურაში შემდგომი სწავლისათვის. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად - სრული ზოგადი განათლება. ჩარიცხვა ხდება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების (რანჟირების დოკუმენტის) საფუძველზე გარდა უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული შემთხვევებისა (ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე ჩარიცხვა ხდება კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში დადგენილი წესის შესაბამისად). საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის დაცვით საბაკალავრო პროგრამით სწავლის გაგრძელება შესაძლებელია მობილობით ბნსუ-ს და სხვა უსდ-ის უმაღლესი განათლების იმავე საფეხურის პროგრამების სტუდენტებისთვის (უკვე მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობა დადგინდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ბნსუ-ში არსებული, განათლების (კრედიტების) აღიარებასთან დაკავშირებული რეგულაციებით). ბნსუ უფლებამოსილია განსაზღვროს პროგრამაზე დაშვების დამატებითი მოთხოვნები (მაგ., კონკრეტულ დონეზე უცხოური ენის ფლობა, საზრვაო სფეროს შემთხვევაში - ჯანმრთელობის შესაბამისი მდგომარეობა, სხვ.);

- 10.2. მაგისტრატურა – აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მოიცავს სამეცნიერო კვლევის ელემენტებს და მიზნად ისახავს ბაკალავრის შემდგომი დონის სპეციალისტის ან მკვლევრის მომზადებას, აგრეთვე პირს ამზადებს დოქტორანტურაში შემდგომი სწავლისა გაგრძელებისათვის და მიღებული კვალიფიკაციით მუშაობისათვის. სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი. სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვა ხდება სამაგისტრო გამოცდის (რანჟირების დოკუმენტის) საფუძველზე (საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე ჩარიცხვა ხდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში დადგენილი წესის შესაბამისად). ბნსუ ვალდებულია განსაზღვროს შიდასაუნივერსიტეტო გამოცდა სპეციალობაში და უფლებამოსილია დაადგინოს სხვა გამოცდების საჭიროება. ბნსუ უფლებამოსილია განსაზღვროს პროგრამაზე დაშვების დამატებითი მოთხოვნები (მაგ., კონკრეტულ დონეზე უცხოური ენის ფლობა, სხვ.). საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის დაცვით სამაგისტრო პროგრამით სწავლის გაგრძელება შესაძლებელია მობილობით უმაღლესი განათლების იმავე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებისთვის (სტუდენტების მიერ უკვე მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობა წინამდებარე პროგრამასთან დადგინდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ბნსუ-ში არსებული, განათლების (კრედიტების) აღიარებასთან დაკავშირებული რეგულაციებით);
- 10.3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ორიენტირებულია პრაქტიკული ცოდნის, უნარების და ღირებულებების გამომუშავებაზე, სრულდება შესაბამისი საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებით და პროფესიული დიპლომის გაცემით;
- 10.4. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შესაძლებელია გაცვლითი, ერთობლივი პროგრამების განხორციელება:
- გაცვლითი პროგრამა ხორციელდება ბნსუ-ს და უცხო ქვეყნის კანონმდებლობით აღიარებული პარტნიორი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებას შორის სტუდენტთა/მაგისტრანტთა გაცვლის შესახებ დადებული ხელშეკრულების საფუძველზე. ხელშეკრულების დადებამდე აუცილებელია სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრიდან წერილობითი ინფორმაციის მიღება აღნიშნული უცხო ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულების ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარების შესახებ. გაცვლითი პროგრამის შემთხვევაში ხდება პარტნიორ-დაწესებულებაში სწავლით კრედიტების გარკვეული რაოდენობის დაგროვება;
 - ბნსუ-ს და უცხო ქვეყნის კანონმდებლობით აღიარებული პარტნიორი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ის მიერ შეიძლება ერთობლივად შემუშავდეს და განხორციელდეს საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები. ერთობლივი პროგრამის განხორციელების მიზნით ბნსუ-ს და პარტნიორ დაწესებულებებს შორის ფორმდება ხელშეკრულება, რომელიც უნდა იყოს შეთანხმებული სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან. ხელშეკრულებით განისაზღვრება პროგრამის და მისი განხორციელების ძირითადი ასპექტები (პროგრამის მოცულობა, სწავლების ენა, პროგრამის სტრუქტურა, პროგრამის რესურსები, სტუდენტის შეფასების სისტემა, პარტნიორ დაწესებულებებში სწავლის და მიღებული კრედიტების ურთიერთაღიარების საკითხები, მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი და კვალიფიკაცია, დიპლომის გაცემის წესი და სხვ.). ბნსუ-ს ერთობლივი პროგრამაზე ჩარიცხვა ხდება უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონით დადგენილი წესის შესაბამისად, რომლის მოთხოვნები აისახება ერთობლივი პროგრამის განხორციელების მიზნით დადებულ ხელშეკრულებაში. ერთობლივი პროგრამის დასრულების შემდეგ გაიცემა უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი/დოკუმენტები. პარტნიორი უსდ-ების ქვეყნ(ებ)ის სამართლებრივი ბაზა შესაძლებელია არ იძლეოდეს პარტნიორი უსდ-(ებ)ის მიერ ერთობლივი დიპლომის გაცემის შესაძლებლობას. ასეთ შემთხვევაში კურსდამთავრებულმა შეიძლება მიიღოს: 1) ერთი ეროვნული დიპლომი, რომელსაც თან დაერთვის არაოფიციალური სერთიფიკატი ყველა პარტნიორი უსდ-ს უფლებამოსილი პირების ხელმოწერით; ან 2) ერთი ან მეტი ეროვნული დიპლომი, რომელიც ადასტურებს ერთობლივ კვალიფიკაციას. საქართველოს პარტნიორი უსდ-ების შემთხვევაში ეს არის: ქართული დიპლომი, აღიარებული საქართველოს კანონმდებლობით, უცხოეთის პარტნიორი უსდ-ებ(ებ)ის შემთხვევაში – პარტნიორი უსდ-(ებ)ის დიპლომ(ებ)ი, აღიარებული პარტნიორი უსდ-(ებ)ის ქვეყნ(ებ)ის კანონმდებლობით.
- 10.5. ბნსუ უფლებამოსილია განახორციელოს მხოლოდ ის საგანმანათლებლო პროგრამები, რომელთა განხორციელების უფლება მიიღოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ბნსუ-ში სწავლების ენა არის ქართული, დასაშვებია უცხოურ ენაზე პროგრამის ცალკეული კომპონენტის შეთავაზება. პროგრამის მხოლოდ უცხოურ ენაზე წარმართვა დაშვებულია, თუ ეს გათვალისწინებულია საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან;
- 10.6. ბნსუ უფლებამოსილია დაადგინოს მოთხოვნები საგანმანათლებლო პროგრამისადმი (კურიკულუმის და სილაბუსის დიზაინი, სტრუქტურა, სხვ.), განსაზღვროს პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, ცვლილებების შეტანის, განხორციელების, პროგრამაზე ჩარიცხვის, პროგრამის დასრულების შემდეგ აკადემიური ხარისხის და კვალიფიკაციის (უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში) და პროფესიული კვალიფიკაციის (პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში) მინიჭების და აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტის (შესაბამისად, დიპლომის/პროფესიული დიპლომის) გაცემის პროცედურები, შეიმუშაოს და დამტკიცოს შესაბამისი მარეგულირებელი დებულებები/წესები.
- 10.6. ბნსუ უფლებამოსილია შეიმუშაოს, დაამტკიცოს და გამოიყენოს სტუდენტთა, პროფესიულ სტუდენტთა სტატუსის მოპოვების, შეჩერების, აღდგენის, შეწყვეტის, მობილობის, მიღებული განათლების (კრედიტების) აღიარების წესი და პროცედურები. ბნსუ აღიარებს საქართველოს ყველა ავტორიზებული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მინიჭებული კვალიფიკაციებს/პროფესიული კვალიფიკაციებს;
- 10.7. ბნსუ უფლებამოსილია შეიმუშაოს და დაამტკიცოს სტუდენტთა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების წესი და სისტემა (ფორმები, კომპონენტები, მეთოდები, კრიტერიუმები, სხვ.);
- 10.8. ბნსუ-ს მიერ ყველა შემუშავებული და დამტკიცებული მარეგულირებელი წესი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კანონმდებლობას, იყოს განმჭვირვალე და სამართლიანი. ბნსუ ვალდებულია შეასრულოს საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნები და ბნსუ-ს მიერ შემუშავებული წესები. ასევე, ბნსუ ვალდებულია უზრუნველყოს ამ წესების საჯაროობა და გამჭვირვალობა. ბნსუ-მ უნდა უზრუნველყოს სწავლების სუბიექტთა ინფორმირება ამ წესების შესახებ, საჭიროების შემთხვევაში - გაუწიოს კონსულტაციები და განუმარტოს ამ წესების არსი და მოთხოვნები.

მუხლი 11. სტუდენტის, პროფესიული სტუდენტის უფლებები

- 11.1. სტუდენტი, პროფესიული სტუდენტი არის სწავლისა და სწავლების პროცესის სუბიექტი (შემდგომში - სწავლების სუბიექტი), რომელიც კანონმდებლობით დადგენილი წესით მოიპოვებს განათლების შესაბამისი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლებას. საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლისთვის - სტუდენტის, პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოსაპოვებლად - პირი უნდა აკმაყოფილებდეს კანონმდებლობით დადგენილ და ბნსუ-ს მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს. ბნსუ-ში პირის ჩარიცხვა ხდება კანონმდებლობით და ბნსუ-ს მიერ დადგენილი წესით და ვადებში. საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის გაგრძელება შეიძლება მობილობის შედეგად საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი და ბნსუ-ში მოქმედი წესების შესაბამისად. სწავლების სუბიექტი ბნსუ-სთან ერთად თანაბარზომიერად აგებს პასუხს არჩეული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განათლების მიღების ხარისხზე. ბნსუ-ში მიიღებიან პირები განუზრვავლად ეროვნების, რასის, სქესის, სოციალური მდგომარეობის, შეხედულებების, რელიგიური მრწამსისა თუ სხვ.
- 11.2. სწავლების სუბიექტს აქვს უფლება:
- თავისუფლად გამოხატოს საკუთარი აზრი და ისარგებლოს საქართველოს კანონმდებლობით გარანტირებული უფლებებითა და თავისუფლებებით;
 - მოითხოვოს ბნსუ-სთან დადებული ხელშეკრულების პირობების შესრულება, ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფა და სწავლისათვის აუცილებელი პირობების შექმნა;
 - მოითხოვოს მისი კანონიერი უფლებების და ინტერესების დაცვის, სასწავლო პროცესში თანასწორი მონაწილეობის, ცოდნის ობიექტური და სამართლიანი შეფასების, მიღებული შეფასებების გასაჩივრების შესაძლებლობის უზრუნველყოფა;
 - მონაწილეობა მიიღოს საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის, პროგრამის, სასწავლო პროცესის ხარისხის და სხვ. შეფასების პროცესში, შეიმუშაოს რეკომენდაციები და გამოხატოს თავისი აზრი;
 - მოითხოვოს და მიიღოს ნებისმიერი საჯარო ინფორმაცია, მათ შორის სრული ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის, სასწავლო პროცესის ორგანიზების შესახებ და სხვ.;
 - თანაბარ პირობებში ისარგებლოს სწავლის სუბიექტთა ხელშეწყობის/შხარდაჭერის სერვისებით, ბნსუ-ს ინფრასტრუქტურით, საინფორმაციო, მატერიალურ-ტექნიკური და სხვ. რესურსით;
 - მონაწილეობა მიიღოს ბნსუ-ს მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში, გაცვლით პროგრამებში, პროექტებში, კვლევებში, ტრენინგებში და სხვ., ჩაერთოს შემეცნებით/ შემოქმედებით საქმიანობაში;
 - იყოს სტუდენტთა თვითმმართველობის წევრი, თანასწორი და სამართლიანი არჩევნების საფუძველზე არჩეული იყოს მის მართვის ორგანოში;
 - თანასწორი და სამართლიანი არჩევნების საფუძველზე არჩეული იყოს წარმომადგენლობით საბჭოში, ფაკულტეტის საბჭოში (სტუდენტის შემთხვევაში), პროფესიული განათლების დეპარტამენტის საბჭოში (პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში), თანაბარი ხმის უფლებით მონაწილეობა მიიღოს ფაკულტეტის/პროფესიული განათლების დეპარტამენტის მართვაში და გადაწყვეტილებების მიღებაში;
 - უარყოფითი (ჩაიჭრა) შეფასებების შემთხვევაში განმეორებით ისწავლოს სასწავლო კურსები/პროგრამის კომპონენტები;
 - ზეწოლის გარეშე მიიღოს გადაწყვეტილება და გამოიყენოს სტატუსის შეწყვეტის, შეჩერების, აღდგენის და მობილობის უფლება. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტს შეუძლია ბნსუ-ში განათლების იმავე საფეხურის სხვა პროგრამით სწავლის გაგრძელება, სწავლების მეორე წლიდან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით დადგენილი წესით სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამაზე გადასვლა (მაგისტრანტის შემთხვევაში - იმ საგანმანათლებლო პროგრამულ მიმართულებაზე, რომელსაც შეესაბამება მის მიერ ჩაბარებული საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის ტიპი);
 - მონაწილეობა მიიღოს ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში;
 - საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად სახელმწიფოსგან, საგანმანათლებლო დაწესებულებისგან, სხვადასხვა ფონდებისგან/ორგანიზაციებისგან, კერძო პირებისგან ან სხვა კანონმდებლობით ნებადართული წყაროდან მიიღოს სტიპენდია, ფინანსური ან მატერიალური დახმარება და სხვა შეღავათები;
 - ისარგებლოს ბნსუს საქმიანობის ძირითადი მომწესრიგებელი დებულებით და ბნსუ-ს სხვა მარეგულირებელი დებულებებით/წესებით გათვალისწინებული შესაძლებლობებით;
 - ბნსუ-ში მოქმედი წესების შესაბამისად მიიღოს აკადემიური სტიპენდია, მატერიალური და სოციალური დახმარება;
 - მოითხოვოს პირადი ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვა;
 - დისციპლინური დევნისას განახორციელოს კანონმდებლობით და ბნსუ-ს საქმიანობის ძირითადი მომწესრიგებელი დებულებით მინიჭებული უფლებები, სასამართლოში გაასაჩივროს მის მიმართ მიღებული გადაწყვეტილებები.
- 11.3. სწავლების ნებისმიერ ეტაპზე სწავლების სუბიექტს შეუძლია მიიღოს სტატუსის შეჩერების გადაწყვეტილება. სტატუსის შეჩერება გულისხმობს ხელშეკრულებიდან გამომდინარე ბნსუ-ს და სწავლების სუბიექტის უფლება-მოვალეობების შესრულებისგან დროებით განთავისუფლებას სტატუსის შეწყვეტის გარეშე. ბნსუ-ში სტატუსის შეჩერების საფუძველი შეიძლება იყოს: სტატუსის შეჩერების შესახებ სწავლების სუბიექტის (საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში - მისი კანონიერი წარმომადგენლის) პირადი განცხადება (მიზეზის მითითების გარეშე); საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმება; უცხო ქვეყანაში საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა (გარდა გაცვლითი და ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სწავლისა); ორსულობა; მშობიარობა; ბავშვის მოვლა; ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება; ადმინისტრაციული და/ან ადმინისტრაციული რეგისტრაციის გაუვლელობა; ფინანსური დავალიანება, ფინანსური ვალდებულებების/ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა; სამართლებრივი დევნის დაწყება ან სასამართლოს განაჩენის ძალაში შესვლა, თუ ეს გამორიცხავს სასწავლო პროცესში პირის ჩართულობის შესაძლებლობას;
- 11.4. სწავლების ნებისმიერ ეტაპზე სწავლების სუბიექტს შეუძლია მიიღოს სტატუსის შეწყვეტის გადაწყვეტილება. ბნსუ-ში სტატუსის შეწყვეტის საფუძველია: სტატუსის აღდგენისთვის დადგენილი ვადის ამოწურვა; სტატუსის შეწყვეტის შესახებ სწავ-

ლების სუბიექტის (საკართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში - მისი კანონიერი წარმომადგენლის) პირადი განცხადება (მიზეზის მითითების გარეშე); მობილობით სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელება; საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის დასრულება; საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შეუძლებლობა (პროგრამის მოთხოვნების შეუსრულებლობა, კვალიფიკაციის/პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად კრედიტების სავალდებულო რაოდენობის ვერმიღება/მიღების შეუძლებლობა პროგრამით სწავლის გაგრძელებისთვის გათვალისწინებულ ვადაში); სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის სტატუსთან შეუთავსებელი ქმედების განხორციელება (ბნსუ-ს მიერ დადგენილი დისციპლინური დარღვევები, რომლებიც იწვევენ სტატუსის შეწყვეტას); კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენი, რომელიც გამოტანილია ისეთი ქმედების ჩადენისთვის, რომელიც ბნსუ-ს მიერ მიიჩნევა სტატუსის შეწყვეტის საფუძველს; პირის გარდაცვალება, კანონმდებლობის შესაბამისად პირის ქმედუწაროდ ცნობა, მოქმედი კანონმდებლობით სხვა გათვალისწინებული შემთხვევები;

11.5. ბნსუ-ს სწავლების სუბიექტს შეუძლიათ სწავლის გაგრძელება ბნსუ-ში განთლების იმავე საფეხურის პროგრამით (შიდამობილობა) ან სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში (უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში - სწავლების მეორე წლიდან). ბნსუ-ში საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის გაგრძელება შესაძლებელია მობილობით ბნსუ-ს და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებების სწავლების სუბიექტებისათვის. მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს განათლების ერთი საფეხურის ფარგლებში კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების, საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობებისა და ბნსუ-ში მოქმედი წესების დაცვით. ბნსუ-ში მობილობით ვერ ჩაირიცხება პირი, რომლის მიმართ უსდ-ში არსებობს ბრძანება სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის სტატუსთან შეუთავსებელი ქმედების ჩადენის გამო სტატუსის შეწყვეტის შესახებ თუ სტატუსის შეწყვეტის საფუძველი ბნსუ-ს შინაგანაწესთან და მიიჩნევა ქვევის წესების უხეშ დარღვევად, რომლისთვისაც ბნსუ-ში გათვალისწინებულია სტატუსის შეწყვეტის დისციპლინური სასჯელი.

11.6. დისციპლინური პასუხისმგებლობები:

- გაფრთხილება - გამოიყენება ერთხელ ჩადენილ შემდეგ შემთხვევებში: სხვა სტუდენტების/პროფესიული სტუდენტების განათლების მიღების უფლების ან ბნსუ-ს შენობით, მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით და წიგნადი ფონდით სარგებლობის შეზღუდვის მცდელობა; საეჭვო, გადაუმოწმებელი ან ცრუ ინფორმაციის გავრცელება; სასწავლო პროცესის ჩაშლის/გამოცდაზე/დაცვაზე წესრიგის დარღვევის მცდელობა/ხელშეწყობა, ბიბლიოთეკასა და აუდიტორიუმში მობილობით ტელეფონებით სარგებლობა ან ხმაური, სხვის ნაცვლად ან სხვის მიერ მის ნაცვლად გამოცდის ჩაბარების (საგამოცდო დავალების შესრულების ან სხვ.) მცდელობა; საზღვაო-საინჟინრო ფაკულტეტის სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში - ბნსუ-ში ჩაცმულობის დადგენილი ფორმის დარღვევა; დაცვისადმი დაუმორჩილებლობა; ბნსუ-ს შენობაში/ტერიტორიაზე აკრძალულ/არანებადართულ ადგილებში თამბაქოს მოწევა, არაფიზიკურ მდგომარეობაში ყოფნა, ალკოჰოლური სასმელების შემოტანის მცდელობის ხელშეწყობა, აზარტული თამაშების ორგანიზების ხელშეწყობა; ბნსუ-ს შენობის/ტერიტორიის დაბინძურება; ბნსუ-ს მატერიალურ-ტექნიკური რესურსის არადანიშნულებისამებრ თვითნებურად გამოყენების მცდელობა/გამოყენების ხელშეწყობა; დაუდევრობით/გაუფრთხილებლობით: ბნსუ-ს დოკუმენტაციის დაზიანება, ბნსუ-ს მატერიალურ-ტექნიკური რესურსის დაზიანება ან საფრთხეში ჩაგდება, საგანგებო სიტუაციის შექმნა ან ისეთი ვითარების შექმნა ან ისეთი ქმედების ჩადენა, რომელმაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას ბნსუ-ს ტერიტორიაზე მყოფი ადამიანების სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და უსაფრთხოებას;
- საყვედური - გამოიყენება შემდეგ შემთხვევებში: 1) მიღებული დისციპლინური სახდელის - გაფრთხილების - მიუხედავად მიმდინარე აკადემიური წლის განმავლობაში იგივე ქმედების ჩადენა; 2) ერთხელ ჩადენილი: შინაგანაწესის, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესების ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევა ან ისეთი ქმედების ჩადენა, რამაც დაზიანა სასწავლო/გამოცდის პროცესის ნორმალური მიმდინარეობა; გამოცდაზე/დაცვაზე წესრიგის/ქვევის წესების დარღვევა; გამოცდებზე წინასწარ მომზადებული (არანებადართული) ჩანაწერების გამოყენება; აკადემიური ეთიკის კოდექსის დარღვევა (სხვის მიერ მომზადებული დავალების/ნაშრომის ნაწილობრივ ან მთლიანად გადმოწერის, ნაშრომში პლაგიატის, ინფორმაციის/მონაცემების/სხვ. გაყალბების, ფალსიფიცირების ან მანიპულირების დადასტურების შემთხვევებში ნაშრომი ფასდება 0 ქულით - არ ხდება ნაშრომის შეფასება / უკვე შეფასებული ნაშრომის შემთხვევაში გაუქმდება მიღებული შეფასება. ასევე, ბნსუ-ს მიერ დაფინანსებულ სტუდენტის ნაშრომში პლაგიატის, ინფორმაციის/მონაცემების/სხვ. გაყალბების, ფალსიფიცირების ან მანიპულირების დადასტურების შემთხვევაში სტუდენტი ვალდებული ბნსუ-ს სრულად დაუბრუნოს კვლევის, ნაშრომის მომზადების/თარგმნის/გამოსაცემად მომზადების/გამოცემის მიღებული (მათ შორის, უკვე გამოყენებული) დაფინანსება); სხვა სტუდენტების/პროფესიული სტუდენტების განათლების მიღების უფლების ან ბნსუ-ს მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით სარგებლობის უფლების შეზღუდვა; სხვის ნაცვლად ან სხვის მიერ მის ნაცვლად გამოცდის ჩაბარება (საგამოცდო დავალების შესრულება/სხვ.); ქრთანის მიცემის მცდელობა; ბნსუ-ში რელიგიური ან პოლიტიკური ორგანიზაციის ჩამოყალიბების მცდელობა; სტუდენტების/პროფესიული სტუდენტების, ადმინისტრაციის, აკადემიური და მოწვეული პერსონალის და სხვა პირებისადმი სიტყვიერი შეურაცხყოფა, ცილისწამება, დამცირება, ღირსების შეურაცხყოფელი ქცევა, ძალის გამოყენების მუქარა; ბნსუ-ს მატერიალურ-ტექნიკური რესურსის არადანიშნულებისამებრ თვითნებურად გამოყენება, დაზიანება, დაზიანების მცდელობა ან საფრთხეში ჩაგდება; ბნსუ-ს შენობაში/ტერიტორიაზე საგანგებო სიტუაციის შექმნა/შექმნის მცდელობა/ხელშეწყობა ან საგანგებო სიტუაციების შესახებ ცრუ ინფორმაციის გავრცელება, გაუფრთხილებლობით/დაუდევრობით ისეთი ვითარების შექმნა ან ისეთი ქმედების ჩადენა, რომელმაც საფრთხე შეუქმნა ბნსუ-ს ტერიტორიაზე მყოფი ადამიანების სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და უსაფრთხოებას, აზარტული თამაშების ორგანიზების მცდელობა/ორგანიზება/ორგანიზებაში მონაწილეობა, ცივი იარაღის შემოტანის მცდელობა, ალკოჰოლური სასმელების შემოტანა/მოხმარება/გავრცელება; დაუდევრობით/გაუფრთხილებლობით ბნსუ-ს დოკუმენტაციის განადგურება ან ბნსუ-ს დოკუმენტაციის გაყალბების/განადგურების/დაზიანების მცდელობა/ხელშეწყობა; ბნსუ-ს საქმიანი რეპუტაციის შელახვაზე ცრუ ინფორმაციის გავრცელება; დაუდევრობით/გაუფრთხილებლობით კონფიდენციალური/არასაჯარო/პირადი ინფორმაციის გასაჯაროება ან გასაჯაროების ხელშეწყობა;

- სახდელი „გაფრთხილება“/„საყვედური“ არ იწვევს სტატუსის შეჩერებას ან შეწყვეტას;
- ბნსუ-ში სტატუსის შეწყვეტა, როგორც დისციპლინური სანქცია, გამოიყენება შემდეგ შემთხვევებში: 1) ბნსუ-ს შინაგანაწესის და ქვევის წესების სისტემატურ დარღვევად მიჩნეული ქმედების ჩადენა: 01 აკადემიური წლის განმავლობაში მიღებული დისციპლინური სახდელის – საყვედურის - მიუხედავად იმავე ქმედების ჩადენა ან ქვევის წესების სხვადასხვა დარღვევებისთვის 02 ან მეტი საყვედურის მიღება; 2) ბნსუ-ს შინაგანაწესის და ქვევის წესების უხეშ დარღვევად მიჩნეული ქმედების ჩადენა: ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია, რასიზმის, ფაშიზმის, ძალადობის პროპაგანდა, რელიგიური თუ სხვა სახის ფანატიზმი, საქართველოს კონსტიტუციით და მოქმედი კანონმდებლობით გარანტირებული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების ხელყოფა და შეზღუდვა; განზრახ შინაგანაწესის, ეთიკის კოდექსის, აკადემიური ეთიკის კოდექსის, ქვევის წესების, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესების განზრახ დარღვევა, რითაც ზიანი მიაღწა ბნსუ-ს, ბნსუ-ში დასაქმებულ/მყოფ პირებს/სტუდენტებს/პროფესიულ სტუდენტებს; განზრახ სასწავლო პროცესის/ გამოცდის ჩაშლა; სხვისი, მათ შორის ბნსუ-ს, საკუთრების განზრახ დაზიანება/განადგურება ან მოპარვა; ბნსუ-ს მატერიალურ-ტექნიკური რესურსების გამოყენება კანონსაწინააღმდეგო საქმიანობისთვის; დოკუმენტაციის გაყალბება, განზრახ დოკუმენტაციის დაზიანება/განადგურება ან კონფიდენციალური/არასაჯარო/პირადი ინფორმაციის გასაჯაროება; განზრახ პერსონალისთვის/სტუდენტისთვის/პროფესიული სტუდენტისთვის მორალური/ფიზიკური ზიანის მიყენება; შენობაში/ტერიტორიაზე განზრახ ისეთი ვითარების შექმნა ან ისეთი ქმედების ჩადენა, რომელმაც საფრთხეში ჩააგდო ბნსუ-ს ტერიტორიაზე მყოფი ადამიანების სიცოცხლე, ჯანმრთელობა და უსაფრთხოება; ძალადობა/თავდასხმა ან ძალადობის/თავდასხმის მცდელობა, აზარტული თამაშების ორგანიზება, ცივი იარაღის შემოტანა, ცეცხლსასროლი იარაღის შემოტანის მცდელობა/შემოტანა, საფრთხის შემქმნელი მასალების, ნარკოტიკული, ძლიერმოქმედი ან/და ტოქსიკური საშუალებების შემოტანა/შენახვა/გავრცელება/მოხმარება; საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის დარღვევა;
- დისციპლინური დარღვევის ფაქტს იკვლევს ბნსუ-ს სადისციპლინო კომისია, რომლის წევრები არიან: ბნსუ-ს ოფიციალური სამსახურის უფროსი (კომისიის თავმჯდომარე), ბნსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი და სტუდენტთა თვითმმართველობის თავმჯდომარე. სადისციპლინო კომისიის შემადგენლობაში სხვა წევრების შეყვანა ხდება ადმინისტრაციის ხელმძღვანელის-კანცლერის ბრძანებით. სადისციპლინო კომისიის მიერ განიხილება მხოლოდ კანონიერი გზით მოპოვებული მტკიცებულებები. მტკიცების ტვირთი აწევს ბრალდების მხარეს. სადისციპლინო კომისიის მუშაობის ხანგრძლივობას განაპირობებს შესასწავლი მასალების რაოდენობა და საკითხის სირთულე. სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილების გასაჩივრების შემთხვევაში საკითხი განიხილება და გადაწყვეტილება მიიღება წარმომადგენლობით საბჭოს დახურულ სხდომაზე. დისციპლინური წარმოების დაწყება არ ზღუდავს სწავლების სუბიექტის უფლებას მონაწილეობა მიიღოს სასწავლო პროცესში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს საფრთხეს უქმნის სხვისი უფლებების, ჯანმრთელობის, ბნსუ-ს საკუთრებისა და უსაფრთხოების დაცვას. ინფორმაცია პირის მიმართ დაწყებული დისციპლინური წარმოების შესახებ კონფიდენციალურია გარდა იმ შემთხვევისა, თუ არსებობს პირის ნებართვა ან ბნსუ-ს კანონიერი ინტერესი დაიცვას სხვისი უსაფრთხოება და კანონით დაცული უფლებები.

მუხლი 12. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი

- 12.1. ბნსუ-ს ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის რაოდენობა განისაზღვრება საშტატო ნუსხით, რომელსაც ადმინისტრაციის ხელმძღვანელის-კანცლერის წარდგინებით ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო. ბნსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი-კანცლერი, ბნსუ-ში არსებული საჭიროებიდან გამომდინარე, უფლებამოსილია ერთჯერადი სამუშაოს შესრულების მიზნით დააკონტრაქტოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები.
- 12.2. ბნსუ-ს ადმინისტრაციულ თანამდებობებს მიეკუთვნებიან: რექტორი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი-კანცლერი, ბნსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი. ბნსუ უფლებამოსილია განსაზღვროს ადმინისტრაციულ პერსონალთან ამა თუ იმ სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის ან ბნსუ-ში სხვა დასაქმებული პირის მიკუთვნების საკითხი. დამხმარე თანამდებობებს მიეკუთვნებიან ბნსუ-ს სტრუქტურულ ერთეულებში დასაქმებული და ბნსუ-ს მიერ განსაზღვრული სხვა პირები;
- 12.3. ადმინისტრაციული პერსონალის (გარდა რექტორის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი-კანცლერისა და პროფესიული განათლების დეპარტამენტის ხელმძღვანელის), დამხმარე პერსონალის და სხვა დასაქმებული პირების შემთხვევაში ბნსუ უფლებამოსილია განსაზღვროს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირთა ბნსუ-ში დასაქმების მექანიზმი (პირდაპირი დააკონტრაქტება/კონკურსი); დაინტერესებულ პირთა ინფორმირების მექანიზმი (ინფორმაციის მასმედის საშუალებებით გამოქვეყნება/დასაქმების ვებგვერდ(ებ)ზე ან/და ბნსუ-ს ვებგვერდზე განთავსება); საკვალიფიკაციო მოთხოვნები/შერჩევის კრიტერიუმები; წარსადგენი საბუთების ჩამონათვალი, საბუთების წარდგენის წესი (ბნსუ-ში ამონაბეჭდი სახით წარდგენა/ელ.ფოსტით გაგზავნა) და ვადები; საბუთების შემსწავლელი პირ(ებ)ის ვინაობა, საბუთების განხილვის და გასაუბრების ჩატარების (არსებობის შემთხვევაში); შედეგების გამოცხადების და გასაჩივრების ვადები და წესი, შრომითი ხელშეკრულების პირობები, ანაზღაურების ოდენობა და სხვ.;
- 12.4. ბნსუ-ში ვაკანსიები გამომდინარეობს ბნსუ-ში არსებული/სამომავლო დაგეგმილი საჭიროებებიდან: ადმინისტრაციის ხელმძღვანელი-კანცლერი ადგენს სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების ვაკანსიებს, სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (ადმინისტრაციის ხელმძღვანელ-კანცლერთან შეთანხმებით) - სტრუქტურული ერთეულის თანამშრომლების ვაკანსიებს, ფაკულტეტის დეკანი და პროფესიული განათლების დეპარტამენტის ხელმძღვანელი (თავიანთი კომპეტენციის შესაბამისად) - ასევე, უმაღლესი/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლების ვაკანსიებს;
- 12.5. ბნსუ-ში დასაქმების საფუძველია საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობა, კერძოდ: შესაბამისობა შესასრულებელ ფუნქციებთან (მითითებულია შესაბამის დებულებაში/თანამდებობრივ ინსტრუქციაში) და ბნსუ-ს მიერ დადგენილ სხვა მოთხოვნებთან (მაგ., ანალოგიურ სამსახურებრივ პოზიციაზე მუშაობის/ანალოგიური ფუნქციების შესრულების გამოცდილება, ადმინისტრაციული პერსონალის და სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის შემთხვევაში - შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის საქმიანობის ეფექტურობის/ხარისხის უზრუნველყოფის ხედვა და/ან სხვ.);

- 12.6. ბნსუ-ში დასაქმებული პირი მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის, ბნსუ-ს წესდების, ბნსუ-ს შინაგანაწესის და შრომის შინაგანაწესის, ბნსუ-ში მოქმედი მარეგულირებელი დებულებების/წესების, ინსტრუქციების, სტრუქტურული ერთეულების დებულების და/ან თანამდებობრივი ინსტრუქციის (არსებობის შემთხვევაში) და შრომითი ხელშეკრულების შესაბამისად;
- 12.7. ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალთან იღება შრომითი ხელშეკრულება საქართველოს შრომის კანონმდებლობით განსაზღვრული წესით. შრომითი ხელშეკრულების მხარეებს წარმოადგენენ ბნსუ (ბნსუ-ს სახელით - მის მიერ განსაზღვრული კომპეტენციის სფეროს შესაბამისად- რექტორი/ადმინისტრაციის ხელმძღვანელი-კანცლერი) და დასაქმებული პირი. შრომით ხელშეკრულებაში განსაზღვრულია შესასრულებელი სამუშაო, მხარეების უფლება-მოვალეობები, შრომის და ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების საკითხები, ხელშეკრულების ვადა და სხვა არსებითი პირობები. საკითხები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული შრომით ხელშეკრულებაში, რეგულირდება საქართველოს შრომის კანონმდებლობით.

მუხლი 13. აკადემიური პერსონალი. აკადემიური წოდებები

- 13.1. აკადემიური თანამდებობის დაკავება შეიძლება მხოლოდ ღია კონკურსის (შემდგომში - კონკურსი) წესით. კონკურსის ჩატარების თარიღი და პირობები ქვეყნდება საკონკურსო საბუთების მიღებამდე არანაკლებ ერთი თვით ადრე (დასაქმების ცნობად ვებგვერდების და/ან ბეჭდური ინფორმაციის საშუალებების მეშვეობით). კონკურსის ძირითადი მოთხოვნები პროფესორის, ასოცირებული პროფესორის, ასისტენტ-პროფესორის და ასისტენტის მიმართ განისაზღვრება უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონით. ბნსუ-ში შესაძლებელია პროფესიული ნიშნით კვალიფიციური პერსონალის მიერ პროფესორის, ასოცირებული პროფესორის, ასისტენტ-პროფესორის, ასისტენტის აკადემიური თანამდებობის დაკავება, ამ პირის კვალიფიკაცია შეიძლება დასტურდებოდეს პროფესიული გამოცდილებით, სპეციალური მომზადებით ან/და პუბლიკაციებით; შესაბამისი კვალიფიკაციის მქონედ ითვლება პირი, რომელსაც აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია. ბნსუ უფლებამოსილია შეიმუშაოს, დაამტკიცოს და გამოიყენოს კონკურსის ჩატარების წესი, განსაზღვროს კონკურსის ჩატარების ვადები (გარდა ზემოთ მითითებული 01 თვიანი ვადისა), შერჩევის დამატებითი მოთხოვნები, შერჩევის კრიტერიუმები, შედეგების გამოცხადების და გასაჩივრების პროცედურები და სხვ. ბნსუ-ში აკადემიურ თანამდებობაზე პირი აირჩევა კონკურსის შედეგების საფუძველზე კონკურსის ჩატარების მომენტისთვის მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის (მოთხოვნები, თანამდებობაზე არჩევის ვადები და სხვ.) შესაბამისად. პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე პირის არჩევა შესაძლებელია არაუმეტეს 10 წლის ვადით ან უვადოდ (თუ პირს აქვს განსაკუთრებული პროფესიული ან/და სამეცნიერო მიღწევები), ასოცირებული პროფესორის - არაუმეტეს 10 წლის ვადით, ასისტენტ-პროფესორის და ასისტენტის - არაუმეტეს 4 წლის ვადით. აკადემიურ პერსონალთან იღება შრომითი ხელშეკრულება საქართველოს შრომის კანონმდებლობით განსაზღვრული წესით. შრომითი ხელშეკრულების მხარეებს წარმოადგენენ ბნსუ (ბნსუ-ს სახელით - რექტორი) და დასაქმებული პირი;
- 13.2. უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, აკადემიური პერსონალის შემადგენლობას მიეკუთვნება: პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, ასისტენტი. თითოეული აკადემიური თანამდებობის მქონე პირი, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან (შემდგომში - უსდ) შეთანხმებით, განსაზღვრავს თავის აფილირებას მხოლოდ ერთ უსდ-სთან. ბნსუ-სთან აფილირებული აკადემიური პერსონალი მიიჩნევა ბნსუ-ს სამეცნიერო პერსონალად, რომელიც გარდა პედაგოგიური საქმიანობისა, მონაწილეობს სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში, ასრულებს სამეცნიერო-კვლევით საქმიანობისთვის დადგენილ წლიურ დატვირთვას, ხელმძღვანელობს ბნსუ-ში მოქმედი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მარეგულირებელი წესებით/დებულებებით და სხვ. სამეცნიერო პერსონალად პირი ითვლება ბნსუ-სთან აფილირების ვადით. ბნსუ-ში ატესტაციას ექვემდებარებიან პროფესორები და ასოცირებული პროფესორები. ბნსუ-ში ატესტაცია ტარდება 5 წელიწადში ერთხელ (პირველი ატესტაცია ტარდება 5 წელიწადში აკადემიურ თანამდებობაზე არჩევიდან); ატესტაციის გავლას არ ექვემდებარება პირი, რომელიც აკადემიურ თანამდებობაზე არჩეულია 5 წელზე მეტი ვადით, მაგრამ აკადემიურ თანამდებობაზე არჩევიდან 5 წლის შემდეგ დარჩენილი აქვს უფლებამოსილების 5 წელზე ნაკლები ვადა. ბნსუ უფლებამოსილია შეიმუშაოს, დაამტკიცოს და გამოიყენოს: აკადემიური პერსონალის ყოველწლიური ინდივიდუალური დატვირთვის სქემა, მისი კომპონენტები, დატვირთვის ზრვრული ოდენობა (სრული განაკვეთი - არაუმეტეს 40 სთ კვირაში), სხვ.; აკადემიური პერსონალის აფილირების წესი, აფილირების შეთანხმების შინაარსი; ატესტაციის ჩატარების წესი, ვადები, კრიტერიუმები, სხვ.;
- 13.3. ბნსუ უფლებამოსილია საქართველოს ან უცხო ქვეყნის მეცნიერს, მკვლევარს, საზოგადო მოღვაწეს ან ბნსუ-ს პარტნიორი-დაწესებულების ხელმძღვანელს/წარმომადგენელს ბნსუ-ს წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისათვის, ბნსუ-სთან ხანგრძლივი ნაყოფიერი თანამშრომლობისთვის, ბნსუ-ს განვითარებაში ან მხარდაჭერაში შეტანილი წვლილისთვის მიანიჭოს საპატიო დოქტორის წოდება. ბნსუ-ს წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისათვის ბნსუ-ს უფლება აქვს ბნსუ-ს პროფესორს მიანიჭოს ემერიტუსის აკადემიური წოდება. გადაწყვეტილებას საპატიო დოქტორის/ემირიტუსის მინიჭების შესახებ ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებით იღებს აკადემიური საბჭო. საპატიო დოქტორის/ემირიტუსის აკადემიური წოდების მქონე პირი უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით პროცესში. ემერიტუსის წოდების მქონე პირს არ შეიძლება ბნსუ-ში ეკავოს აკადემიური თანამდებობა.

მუხლი 14. მოწვეული სპეციალისტები, მასწავლებლები, პროფესიული პროგრამების განმახორციელებელი პირები

- 14.1. ბნსუ უფლებამოსილია აკადემიური თანამდებობის დაკავების გარეშე მოიწვიოს (კონკურსის გარეშე დააკონტრაქტოს) ან კონკურსის წესით შეარჩიოს შესაბამისი კვალიფიკაციის საქართველოს/უცხო ქვეყნის სპეციალისტი (მოწვეული სპეციალისტი) სასწავლო ან/და სამეცნიერო-კვლევით პროცესში მონაწილეობის ან/და ამ პროცესის წარმართვის მიზნით. მასწავლებელი (მასწავლებელი/უფროსი მასწავლებელი) უფლებამოსილია გაუძღვეს პრაქტიკულ და ლაბორატორიულ სამუშაოებს, ასევე პროფესიული პროგრამების განმახორციელებელი პირები, რომლებიც პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებს უძღვებიან;

- 14.2. ბნსუ-ში ვაკანსიები გამომდინარეობს ბნსუ-ში არსებული/სამომავლოდ დაგეგმილი საჭიროებებიდან: ფაკულტეტის დეკანი ადგენს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლების ვაკანსიებს, პროფესიული განათლების დეპარტამენტის ხელმძღვანელი - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლების ვაკანსიებს;
- 14.3. ბნსუ უფლებამოსილია განსაზღვროს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირთა ბნსუ-ში დასაქმების მექანიზმი (პირდაპირი დააკონტრაქტება/კონკურსი); დაინტერესებულ პირთა ინფორმირების მექანიზმი (ინფორმაციის მასმედიის საშუალებებით გამოქვეყნება/დასაქმების ვებგვერდ(ებ)ზე ან/და ბნსუ-ს ვებგვერდზე განთავსება); საკვალიფიკაციო მოთხოვნები/შერჩევის კრიტერიუმები; წარსადგენი საბუთების ჩამონათვალი, საბუთების წარდგენის წესი (ბნსუ-ში ამონაბეჭდი სახით წარდგენა/ელ.ფოსტით გაგზავნა) და ვადები; საბუთების შემსწავლელი პირ(ებ)ის ვინაობა, საბუთების განხილვის და გასაუბრების ჩატარების (არსებობის შემთხვევაში); შედეგების გამოცხადების და გასაჩივრების ვადები და წესი, შრომითი ხელშეკრულების პირობები, ანაზღაურების ოდენობა და სხვ.;
- 14.4. ბნსუ-ში დასაქმების საფუძველია საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობა, კერძოდ: პირის კვალიფიკაციის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ პირობებთან და ბნსუ-ს მიერ დადგენილ მოთხოვნებთან (მაგ., გამოქვეყნებული ნაშრომები/პუბლიკაციები, სპეციალური განათლება/მომზადება და/ან სხვ.);
- 14.5. ბნსუ-ში მოწვეული სპეციალისტები, მასწავლებლები, პროფესიული პროგრამების განმახორციელებელი პირები მოქმედებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, ბნსუ-ს წესდების, ბნსუ-ს შინაგანაწესის და შრომის შინაგანაწესის, ბნსუ-ში მოქმედი მარგულირებული დებულებების/წესების, ინსტრუქციების, სტრუქტურული ერთეულების დებულების და/ან თანამდებობრივი ინსტრუქციის (არსებობის შემთხვევაში) და შრომითი ხელშეკრულების შესაბამისად;
- 14.6. მოწვეული სპეციალისტებთან, მასწავლებლებთან, პროფესიული პროგრამების განმახორციელებელ პირებთან იდება შრომითი ხელშეკრულება საქართველოს შრომის კანონმდებლობით განსაზღვრული წესით. შრომითი ხელშეკრულების მხარეებს წარმოადგენენ ბნსუ (ბნსუ-ს სახელით - რექტორი) და დასაქმებული პირი. შრომით ხელშეკრულებაში განსაზღვრულია შესასრულებელი სამუშაო, მხარეების უფლება-მოვალეობები, შრომის და ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების საკითხები, ხელშეკრულების ვადა და სხვა არსებითი პირობები. საკითხები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული შრომით ხელშეკრულებაში, რეგულირდება საქართველოს შრომის კანონმდებლობით.

მუხლი 15. ბნსუ-ს მატერიალურ-ტექნიკური რესურსით სარგებლობა

- 15.1. ბნსუ-ს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და ინფრასტრუქტურა, ტერიტორია, შენობა-ნაგებობანი, მოწყობილობები, ინვენტარი და ტექნიკური აღჭურვილობა, ბიბლიოთეკა, ლინგვონის და სხვა კაბინეტები, ინტერნეტის ქსელში ჩართული კომპიუტერული ტექნიკა, სპეციალური კომპიუტერული პროგრამები, საერთაშორისო ონლაინ ბიბლიოთეკა და სხვა მატერიალური ფასეულობანი, ფინანსური სახსრები, სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაცია და სხვ. განკუთვნილია სტუდენტების, მაგისტრანტების (შემდგომში - სტუდენტები), პროფესიული სტუდენტების და პერსონალის სასწავლო, სამეცნიერო, კვლევითი, შემეცნებითი, შემოქმედებითი საქმიანობისთვის;
- 15.2. მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით დანიშნულებისამებრ სარგებლობა შეუზღუდავად თანასწორ პირობებში შეუძლიათ ბნსუ-ს სტუდენტებს, პროფესიულ სტუდენტებს, ადმინისტრაციულ, დამხმარე, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს;
- 15.3. დაუშვებელია ბნსუ-ს სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის ან პერსონალის მიერ ბნსუ-ს სხვა სტუდენტისთვის/პროფესიული სტუდენტისთვის ან პერსონალისთვის შენობით, ბიბლიოთეკის ფონდებით და ბნსუ-ს სხვა მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით სარგებლობის უფლების შეზღუდვა;
- 15.4. ბნსუ-ში გამორიცხულია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამოყენების ისეთი წესების შემოღება, რამაც შეიძლება შექმნას ცენზურის დაწესების საფრთხე ან შეზღუდოს გამოხატვის თავისუფლება. ბნსუ-ს მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით სარგებლობის უფლების ერთადერთ შეზღუდვას წარმოადგენს მათი გამოყენება კანონსაწინააღმდეგო საქმიანობისთვის.

მუხლი 16. ბნსუ-ს ქონება, შემოსავლები და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა

- 16.1. ბნსუ დამოუკიდებლად, თავისი შეხედულებისამებრ ახორციელებს საკუთარი ქონების ფლობას, სარგებლობას, განკარგვას და მართვას. მას შეუძლია გაყიდოს, გაცვალოს, გასცეს იგი იჯარით ან სესხად, ჩამოწეროს ბალანსიდან კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- 16.2. ბნსუ-ს ქონებას წარმოადგენს ძირითადი ფონდები, საბრუნავი საშუალებები და სხვა ფასეულობები, რომელთა ღირებულება ასახულია მის დამოუკიდებელ ბალანსში;
- 16.3. ბნსუ-ს ქონების და შემოსავლების ფორმირების წყაროებია: პარტნიორთა შენატანები საწესდებო კაპიტალში; წინამდებარე წესდებით გათვალისწინებული ფასიანი საგანმანათლებლო, საგამომცემლო და სხვ. საქმიანობით მიღებული შემოსავლები; სხვადასხვა ფონდისა და ასოციაციებისაგან მიღებული ქონება ან/და თანხები; ცალკეული ფიზიკური და იურიდიული პირებიდან მიღებული ქონება ან/და თანხები; უსასყიდლოდ მიღებული ქონება; ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გაწეული მომსახურებისათვის მიღებული თანხები; დოტაციები, გრანტები, ბანკების და სხვა კრედიტორების კრედიტები; უსასყიდლო ან საქველმოქმედო შენატანები; საწარმოების, ორგანიზაციების და მოქალაქეების შემოწირულობები და საქველმოქმედო შენატანები; კანონიერი წყაროებით მიღებული სხვა ქონება, რომლებიც ნებადართულია საქართველოს კანონმდებლობით;
- 16.4. ბნსუ-ს ფინანსური რესურსები ყალიბდება მოგების, ამორტიზაციის ანარიცხების, აგრეთვე სხვა ფინანსური საშუალებების ხარჯზე;
- 16.5. ბნსუ განსაზღვრავს სამეწარმეო (კომერციული) საქმიანობიდან და ფასიანი საგანმანათლებლო მომსახურებიდან მიღებული საკუთარი შემოსავლების საბანკო ანგარიშების გახსნისა და ხარჯვის წესს და სრულად განკარგავს ამ თანხებს;
- 16.6. ბნსუ-ს საფინანსო-საბიუჯეტო საქმიანობა და საკრედიტო ურთიერთობები რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით;
- 16.7. ბნსუ-ს საქმიანობის საგნის, მისიის, მიზნებისა და ამოცანების სრულფასოვანი შესრულების, საგანმანათლებლო საქმიანობის მაღალ დონეზე განხორციელებისა და საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის

უზრუნველყოფის მიზნით ბნსუ ქმნის და იყენებს რელევანტურ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას და ინფრასტრუქტურას, კერძოდ, ეს არის: ბნსუ-ს ტერიტორია და შენობა-ნაგებობანი, აუდიტორიები, სპეციალური კაბინეტები, ლაბორატორიები, ზიბლითეკა, ვებ-გვერდი, ინტერნეტის ქსელში ჩართული კომპიუტერული ტექნიკა, მოწყობილობები, ინვენტარი, ტექნიკური აღჭურვილობა, სხვა მატერიალური ფასეულობანი, ფინანსური სახსრები, სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაცია და სხვ., რომლებიც შესაძლოა შეადგენდნენ როგორც ბნსუ-ს ქონებას, ასევე წარმოადგენდნენ დაქირავებულს ბნსუ-ს მიერ.

თავი 17. სახელმწიფო აღრიცხვა და ანგარიშგება, კონტროლი

- 17.1. ბნსუ სახელმწიფო აღრიცხვას, ანგარიშგებას და სახელმწიფო ბიუჯეტთან ანგარიშსწორებას ახდენს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
- 17.2. ბნსუ-ში სამეურნეო წელი არის კალენდარული წელი, წელი ბნსუ-ს რეგისტრაციიდან რეგისტრაციის წლის 31 დეკემბრამდე შეადგენს არასრულ სამეურნეო წელს;
- 17.3. პარტნიორთა კრება განსაზღვრავს და ამტკიცებს ბნსუ-ს ბიუჯეტში შესატან ცვლილებებს; წლიური ანგარიშის სისწორე შეიძლება იყოს შემოწმებული დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ;
- 17.4. პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებით შეიძლება დადგინდეს წლიური და შუალედური მოგების დივიდენდის სახით განაწილება;
- 17.5. ბნსუ-ს საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის კომპლექსური რევიზია ტარდება წელიწადში ერთხელ და არ უნდა არღვევდეს ბნსუ-ს ნორმალური მუშაობის რეჟიმს; რეგარეშე რევიზიები ტარდება ბნსუ-ს პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებით;
- 17.6. სახელმწიფო კონტროლი: საფინანსო-ეკონომიკურ სფეროში სახელმწიფო კონტროლი გულისხმობს მისი საქმიანობის კანონიერების, მიზანშეწონილობის, ეფექტიანობისა და საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის ზედამხედველობას; საგანმანათლებლო სფეროში სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი.

მუხლი 18. რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

- 18.1. ბნსუ, როგორც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, საქმიანობას წყვეტს მისთვის კანონმდებლობით დადგენილი წესით საგანმანათლებლო საქმიანობის უფლების (ავტორიზაციის) გაუქმების შემთხვევაში;
- 18.2. ბნსუ საქმიანობას წყვეტს რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის გზით;
- 18.3. ბნსუ-ს რეორგანიზაცია (გარდაქმნა, შერწყმა, გაყოფა) დასაშვებია მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით. ბნსუ-ს რეორგანიზაციის დროს მისი უფლებები და მოვალეობები გადადის მის სამართალმემკვიდრეზე;
- 18.4. ბნსუ-ს ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღება და ლიკვიდაცია ხორციელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით. ლიკვიდაცია ითვლება დასრულებულად და ბნსუ-ს საქმიანობა შეწყვეტილად სამეწარმეო რეესტრში სათანადო ჩანაწერების გაკეთების შემდეგ.

მუხლი 19. დასკვნითი დებულებები

- 19.1. წინამდებარე წესდება წარმოადგენს ბნსუ-ს ფუნქციონირების ძირითად სახელმძღვანელო დოკუმენტს, რომელიც განსაზღვრავს ბნსუს მართვასთან და ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ საკვანძო საკითხებს;
- 19.2. საქართველოს კანონმდებლობისა და წინამდებარე წესდების საფუძველზე იქმნება ბნსუ-ს ფუნქციონირებისთვის აუცილებელი სხვადასხვა მარეგულირებელი დოკუმენტები (შრომის შინაგანაწესი, ეთიკის და აკადემიური ეთიკის კოდექსი, ბნსუ-ში ქვევის წესები, ბნსუ-ს სტრუქტურა, სტრუქტურული ერთეულების დებულებები, მარეგულირებელი დებულებები, წესები, ინსტრუქციები და სხვ.), რომლებიც შეიძლება იყოს წარმოდგენილი ცალკე დებულების/წესის სახით ან იყოს გაერთიანებული ერთი დებულების ფარგლებში;
- 19.3. თუ წინამდებარე წესდების რომელიმე დებულება/მუხლი გახდა ბათილი/ძალადაკარგული, აღნიშნული არ ვრცელდება წესდების სხვა დებულებებზე/მუხლებზე და არ იწვევს მთლიანად წესდების ბათილად/ძალადაკარგულად ცნობას;
- 19.4. წინამდებარე წესდებაში პარტნიორთა კრების უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხებს განიხილავს და შესაბამის გადაწყვეტილებას იღებს პარტნიორთა კრება, ყველა დანარჩენ საკითხებზე - ბნსუ-ს მართვის ორგანოების (სუბიექტები) მათი უფლებამოსილების სფეროების შესაბამისად;
- 19.5. წესდებაში ცვლილებების და დამატებების შეტანის ინიციატორი შეიძლება იყოს პარტნიორთა კრება, ბნსუ-ს რექტორი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი-კანცლერი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, იურიდიული სამსახურის უფროსი, ფაკულტეტის საბჭო, პროფესიული განათლების დეპარტამენტის საბჭო, აკადემიური საბჭო, წარმომადგენლობითი საბჭო;
- 19.6. წინამდებარე წესდებაში შეტანილი ყველა ცვლილება და დამატება ძალაშია, თუ ისინი მიღებულია საქართველოს კანონმდებლობის დაცვით, შედგენილია წერილობით და, საჭიროების შემთხვევაში, დასტურდება კანონმდებლობით გათვალისწინებული სათანადო ორგანოს მიერ;
- 19.7. წესდების მუხლებს წინამდებარე აქტს სათაურები წესდების ტექსტით სარგებლობის გასაადვილებლად და ეს სათაურები არ მიიჩნევა წინამდებარე წესდების რომელიმე დებულების განმარტებულად, შემცვლელად ან განმარტებულად;
- 19.8. წინამდებარე წესდება ძალას კარგავს ახალი წესდების დამტკიცების შემთხვევაში.

წინამდებარე წესდება წარმოდგენილი რედაქციით განხილული, მოწონებული და დამტკიცებულია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი"-ს პარტნიორთა კრებაზე (ოქტი № 01, 14. 11.2017 წ.)

შპს „ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის“ პარტნიორები:

_____ *ლალი ხვედელიძე*

_____ *პარმენ ხვედელიძე*

14.11.2017 წ.